საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმას.

დანართი: 135 გვ.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

№ 07-2/306
31 01 2019
135 ფურცელი

N 3571
31.01.2019

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 119 2019 წლის 31 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის თანდართული მოკლევადიანი გეგმა და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

ბ) საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა

N	კანონპროექტის დასახელება	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობის დასაბუთება და კანონპროექტის მოკლე აღწერა (პრობლემის არსი, ანალიზი და მისი გადაჭრის გზა)	ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის მიღებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების შესახებ	თუ კანონპროექტი გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორემ მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან და ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, მითითება აღნიშნულის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

1.	**„ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	აღმასრულებელ ხელისუფლებაში განსახორციელებელი რეფორმის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, რიგ უწყებებში გათვალისწინებულ იქნა სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებების განხორციელება, იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბდეს უფრო მეტად მოქნილი სახელმწიფო აპარატი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირები. კერძოდ, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების უფრო მაღალ დონეზე წამოწევა, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციისა და მათი უფლებების დაცვა. აღნიშნული მიმართულების უფრო მაღალ დონეზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის - ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის შერწყმის თაობაზე, რომლის საფუძვლზეც შეიქმნება ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტო, რომელიც ჩაითვალა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის - ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლედ. აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ კი განისაზღვრა საქართველოს მთავრობა, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, ბავშვთა	კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი	

		და ახალგაზრდული კავშირების ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების გაუმჯობესებას.		
2.	**„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“**	1. 2018 წლის ოქტომბერში ძალაში შევიდა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც გათვალისწინებულია პროფესიული განათლების ახალი სისტემის შექმნა. ამისათვის, კანონი ითვალისწინებს 2 წლიან ვადას და აღნიშნულ ვადაში, მთავრობამ და სამინისტრომ უნდა უზრუნველყონ ახალი კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მომზადება და მიღება. ახალ მიდგომებზე გადასვლას რომ არ შეეფერხებინა სისტემაში მიმდინარე პროცესები, კანონის გარდამავალ დებულებებში გაკეთდა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის №4528-Iს კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, აგრეთვე მათ საფუძველზე ამ კანონის ამოქმედებამდე და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ განხორციელებული ქმედებები ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას ამ კანონის საფუძველზე შესაბამისი აქტების გამოცემამდე" (მუხლი 39, პუნქტი 14). აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი აქტების გამოცემამდე, 2007 წლის კანონის საფუძველზე გამოცემული აქტები ძალაშია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გარდამავალი ეტაპის სამუშაოების შესასრულებლად. ამასთან, ჩანაწერში აღნიშნულია მხოლოდ ნორმატიული აქტები, 2017 წლის კანონის საფუძველზე კი, გარდა ნორმატიული აქტებისა, გამოცემულია, არაერთი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, როგორც სამინისტროს, ასევე მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან. ამდენად, დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, კანონში შევიდეს ტექნიკური ცვლილება და 39-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის №4528-Iს კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტები, აგრეთვე მათ საფუძველზე ამ კანონის ამოქმედებამდე და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ განხორციელებული ქმედებები ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას ამ კანონის საფუძველზე შესაბამისი აქტების გამოცემამდე". 2. კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობა: • სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული მომზადების	კანონპროექტების მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	

		პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების წესსა და პირობებს, აგრეთვე პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესსა და პირობებს; • სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პირის მიერ სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების წესსა და პირობებს; • სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესსა და პირობებს. ზემოაღნიშნული სამივე წესი ითვალისწინებს უფლების მოპოვებას შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით, რაც გარკვეულ საფასურთან იქნება დაკავშირებული. ვინაიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით საფასური ვერ დაწესდება, თუ აღნიშნულ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს კანონი, საჭიროა კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, სხვა შემთხვევაში, სახელმწიფომ თავად უნდა უზრუნველყოს უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.		
3.	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა - მოქმედი კანონის თანახმად მასწავლებლის საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად, ხოლო მასწავლებლის პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის (შემდგომში - სქემა) შესაბამისად. იქედან გამომდინარე, რომ 2019 წელს იგეგმება რეფორმის განხორციელება განათლების სისტემაში, მიმდინარეობს სქემაში ცვლილებების გახორციელება. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს, ასევე, სქემის სახელწოდების ცვლილებას - „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესით“. მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი გააერთიანებს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებით მოსაწესრიგებელ საკითხებს. ასევე, მიზანშეწონილია აღნიშნული წესი დამტკიცდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, ნაცვლად, მთავრობის დადგენილებისა. ცვლილების თანახმად, მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესის	კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.	

		დამტკიცდება უნდა მოხდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, ნაცვლად მთავრობის დადგენიებისა. აღნიშნული უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესის დროულ დამტკიცებასა და სამომავლო ცვლილებების დროში გაჭიანურების გარეშე განხორციელების შესაძლებლობას.		
4.	**„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მიენიჭა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. პროგრამების რეგისტრაციას კი ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ასევე, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება ან/და განხორციელება. იქედან გამომდინარე, რომ ცენტრის პოლიტიკა მიმართულია დეცენტრაიზაციის პროცესისკენ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მიენიჭოთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ხოლო აღნიშნული პროგრამების რეგისტრაციას ახორციელებდეს ცენტრი. ცვლილების თანახმად, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების უფლება მიენიჭებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. აღნიშნული პროგრამების რეგისტრაცია კი სავალდებულო იქნება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, მსგავსად, მასწავლებელის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებისა.	კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.	
5.	**„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	1. კანონის ცალკეული დებულებები უნდა ვრცელდებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, თუმცა ამ დებულებებში არსებობს ჩანაწერი „კოლეჯი“, რაც გამორიცხავს ამ რეგულაციების გავრცელებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რაც გამოიწვევს სისტემის დონეზე არაერთგვაროვან მიდგომას.	წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი	

		კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუქნტში, ასევე 39-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში ტერმინი „კოლეჯი“ შეიცვლება ტერმინით „საგანმანათლებლო დაწესებულება“; 2. კანონი არ განსაზღვრავს სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსს (პროფესიული სტუდენტია თუ მსმენელი), ასევე არ ქმნის სერტიფიკატისა და მისი დანართის გაცემის საკითხების კანონმქვემდებარე აქტებით დარეგულირების სამართლებრივ საფუძველს. კანონით განისაზღვრება სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი (პროფესიული სტუდენტია თუ მსმენელი), ასევე სერტიფიკატისა და მისი დანართის გაცემის საკითხები. 3. კანონი არ ქმნის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების, ასევე სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საფასურის დადგენის სამართლებრივ საფუძველს. კანონით განისაზღვრება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საფასურის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები.	სახსრების გამოყოფას.	
6.	**„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“**	კანონი არ ადგენს სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების რეგულაციებს, ავტორიზაციის მომენტში, თუმცა ეს შესაძლებელია პროგრამის დამატების გზით (მუხლი 16), რადგანაც კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრმის სახელში არ ფიგურირებს სიტყვა „საგანმანათლებლო“; დაწესებულებას საშუალება უნდა მიეცეს ავტორიზაციის პროცესშივე მოიპოვოს სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება. შესაბამისად, კანონის მე-8 მუხლის შესაბამის პუნქტებს უნდა დაემატოს „სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა“	წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	
7.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა გამოწვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[50]“ და 46-ე მუხლის მე-5 პუნქტებში გამოყენებული ტერმინების ახალი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის ინტერესით.	წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	

		კერძოდ, მე-2 მუხლის „ჰ50“ ქვეპუნქტის თანახმად, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმარტებაში გამოიყენება ტერმინი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც ახალი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩანაცვლდა ტერმინით - „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი“; ხოლო 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც დაასრულა მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, ეძლევა ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი. ახალი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნულ დოკუმენტს ეწოდება - ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ50“ და 46-ე მუხლის მე-5 პუნქტებში გამოყენებული ტერმინები შესაბამისობაში მოვა ახალი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებთან.	დამატებითი სახსრების გამოყოფას.	
8.	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით სპეციალური მასწავლებლის განათლების დაზუსტება და სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის შემუშავება, რაც ეხმაურება გაეროს მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანს. დღეს სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციები, დოკუმენტები ავალდებულებს საქართველოს ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. სისტემაში არსებული მოდელის ერთ ერთი გამოწვევაა სპეციალური მასწავლებლის და მასწავლებლის კვალიფიკაცია. კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე შემუშავდება სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა და დააზუსტდება სპეციალური მასწავლებლის განათლება.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	
9.	**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სისტემა შემოიფარგლება საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სისტემით. პროგრამული დაფინანსების სისტემის ფუნქციონირების პირობებში უმაღლესი განათლების დაფინანსების პრაქტიკაზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესწავლისა და	საბაზო დაფინანსების ამოქმედება იგეგმება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით	

		გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავების აუცილებლობა. ამ მიზნით 2018 წელს მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა დაფინანსების სისტემის მოდიფიცირებაზე. მსოფლიო ბანკმა შეისწავლა არსებული სისტემა და წარმოადგინა რეკომენდაციები დაფინანსების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ რეკომენდაციებში ასახულ იქნა მოკლე-, საშუალო- და გრძელ-ვადიან პერსპექტივაში გადასადგმელი ნაბიჯები. მათ შორის, უმაღლესი განათლების საბაზო დაფინანსების შემოღება (performance-based funding). რაც გულისხმობს საქართველოში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო დაფინანსებას სხვადასხვა ინდიკატორის (აკადემიური, სამეცნიერო, ინტერნაციონალიზაციის) გათვალისწინებით.	გათვალისწინებული პროგრამის „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება“ ფარგლებში. საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე განსაზღვრული დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედება იგეგმება 2020-2021 სასწავლო წლიდან.	

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

10.	**„ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქვეყანაში ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის (იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი) მარეგულირებელი ,,ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ” საქართველოს 1995 წლის კანონი მოძველებულია, საჭიროებს გადახედვას, მრავალი საკითხის დაზუსტებას და არსებულ რეალიებთან შესაბამისობაში მოყვანას. მასში სრულად არ არის ასახული „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციით (შემდგომში - ბაზელის კონვენცია) გათვალისწინებული ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი (მაგალითად, გადაზიდვის შეტყობინებისა და ინფორმირებისპროცედურები). კანონპროექტის მიზანია, ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა, ბაზელის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა და მასში კონვენციის მოთხოვნების სრულად ასახვა. ასევე, ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის პირობების, პროცედურების და კონტროლის მექანიზმების შემოღება ბაზელის კონვენციისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. კანონი ვრცელდება ყველა სახის ნარჩენზე, რომელიც კვეთს საქართველოს საზღვარს (იმპორტი, ექსპორტი ან ტრანზიტი). კერძოდ, ის ვრცელდება ბაზელის კონვენციით კონტროლირებად სახიფათო ნარჩენებზე და ასევე უზრუნველყოფს ისეთი ნარჩენების კონტროლის მექანიზმს, რომლებიც ბაზელის კონვენციით არ კონტროლდება. სხვა საერთაშორისო კონვენციების კონტროლს დაქვემდებარებული ნარჩენები ამოღებულია ამ კანონის რეგულირების სფეროდან. კანონპროექტის თანახმად, ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოები იქნებიან: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რომელიც არის ბაზელის კონვენციის დანიშნული ეროვნული ორგანო და პასუხისმგებელია სახიფათო და სხვა ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების შესახებ	კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.	

		განაცხადისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღებასა და ამ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებაზე) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახური, რომელიც ახორციელებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების საბაჟო კონტროლს. კანონპროექტით განისაზღვრება იმპორტისთვის აკრძალული და დაშვებული ნარჩენები, კერძოდ, აიკრძალება სახიფათო ნარჩენების იმპორტი, ასევე, არასახიფათო ნარჩენების იმპორტი განთავსების და შუალედური აღდგენის მიზნით, ხოლო საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ ნარჩენების ნუსხა, რომელთა იმპორტიც დაიშვება. კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს ექსპორტისთვის აკრძალულ და დაშვებულ ნარჩენებს, კერძოდ, აკრძალულია სახიფათო ნარჩენების ექსპორტი, თუ იმპორტის ქვეყანა არ არის ბაზელის კონვენციის მხარე ან ოფიციალურად კრძალავს ასეთი ნარჩენების იმპორტს ან არ გაუცია თანხმობა კონკრეტული ნარჩენების იმპორტზე. ამასთან, ექსპორტისთვის დაშვებული ნარჩენების ნუსხა ასევე დადგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. კანონპროექტით დგინდება ნარჩენების ტრანზიტთან დაკავშირებული აკრძალვები, კერძოდ, აიკრძალება სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი, ხოლო ტრანზიტისთვის დაშვებული ნარჩენების ნუსხა აგრეთვე განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.		
11.	**„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დაგეგმილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს სტრუქტურაში გადატანას. სამინისტროს ცენტრალური აპარატი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და პრიორიტეტულობას და ორიენტირებულია უშუალოდ პოლიტიკის შექმნაზე, რომლის აღსრულება კი ხორციელდება მის სისტემაში შემავალი აღმასრულებელი სააგენტოების მიერ. აღნიშნულთან ერთად აუცილებელია ერთიანი მოსაკრებლის ჩანაცვლება მომსახურების საფასურით. ყველა ტიპის და მოცულობის	კანონპროექტი მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, გამომდინარე იქიდან, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისათვის მოსაკრებლის	

		საქმიანობისათვის/პროექტისათვის მოსაკრებლის ერთიდაიგივე ოდენობით დადგენა არასამართლიანი და არათანაბარია, ვინაიდან ამ პროექტის შეფასებისათვის სხვადასხვა რესურსის (ფინანსური და ადამიანური) ოდენობაა საჭირო. ასევე, კოდექსის ამოქმედების შემდგომ, პრაქტიკაში გამოვლინდა რიგი ხარვეზები და ტერმინოლოგიური შეუსაბამობები, რაც დაზუსტებას საჭიროებს. კანონპროექტი ითვალისწინებს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს შემადგენლობაში გადატანას, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისათვის მოსაკრებლის ნაცვლად მომსახურების საფასურის დადგენას და კოდექსის პრაქტიკაში გამოყენების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრას. კერძოდ, კანონპროექტის მიზანია ჩამოყალიბდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური მოწყობისა და მმართველობის იმგვარი მოდელი, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად აღსრულდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები და დაინერგოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც მორგებული იქნება როგორც ქვეყნის არსებულ რეალობას, ასევე მიმართული იქნება ბიზნეს პროცესების გამარტივებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვისკენ. კანონპროექტით ცვლილება შედის ყველა იმ მუხლში, სადაც გაწერილი იყო სამინისტროს კომპეტენციები გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში და სამინისტროს ნაცვლად მიეთითება სააგენტო. რაც შეეხება მოსაკრებლის ჩანაცვლებას მომსახურების საფასურით, აღსანიშნავია რომ მოსაკრებელი წარმოადგენდა 500 ლარს ყველა ტიპის და მასშტაბის საქმიანობისათვის, მაშინ როდესაც აღნიშნული საქმიანობების განხილვა სხვადასხვა ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. შესაბამისად, პროექტით დგინდება მომსახურების საფასური თითოეული საქმიანობის საპროექტო ღირებულებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად.	ნაცვლად დგინდება მომსახურების საფასური, რომელიც იქნება სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსების წყარო. კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ მოახდენს, ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.	

12.	„სამრეწველო ემისიების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დღევანდელი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ინტეგრირებულ სანებართვო სისტემას. ამასთან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და შესაბამისად, მისი სავალდებულოდ გადახედვის მექანიზმები არ არსებობს. ამასთან არ არსებობს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვის ვალდებულება და კონკრეტული სტაციონარული წყაროებისთვის გაფრქვევის ზღვრული მნიშვნელობები. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ინტეგრირებული სანებართვო სისტემის, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის (BAT) და ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დაწესების ვალდებულებას. ამასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმებით 2026 წლამდე გაწერილია ვადები როგორც ინტეგრირებული სანებართვო სისტემის, ასევე საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის (BAT) და ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დაწესების კუთხით. კანონპროექტის მიზანია სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და მიწაში ემისიების პრევენცია, შემცირება და კონტროლი, ასევე ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია. კანონპროექტი ითვალისწინებს ობიექტების რეგულირების ინტეგრირებულ მიდგომას, რაც მოიცავს ემისიებს ჰაერში, წყალსა და ნიადაგში, ნარჩენების წარმოქმნას, ნედლეულის გამოყენებას, ენერგოეფექტურობას, ხმაურს, ავარიების პრევენციასა და ექსპლუატაციის ადგილის აღდგენას ობიექტის საბოლოო დახურვის შემდგომ. ამასთან ნებართვების გაცემა და ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ეფუძნება შეთანხმებულ დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ და ევროპის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საუკეთესო ხელმისაწვდომი ხერხების სახელმძღვანელო დოკუმენტებს. შემოდის გარემოსდაცვითი შემოწმებების განსხვავებული სისტემა, რომლის მიხედვით ობიექტების გარემოსდაცვითი რისკების შეფასების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ობიექტების სავალდებულო შემოწმების დანერგვა და არ უნდა აღემატებოდეს 1 წელიწადს ყველაზე მაღალი რისკის მქონე ობიექტებისათვის და 3 წელიწადს - ყველაზე დაბალი რისკის მქონე ობიექტებისათვის.	კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	კანონპროექტის მიღების ვალდებულება გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებიდან, კერძოდ შეთანხმების (კარი VI, თავი 3, მუხლი 306, პარაგრაფი 1) თანახმად, საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXVI ითვალისწინებს - 2010 წლის 24 ნოემბრის

				ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივას სამრეწველო ემისიების შესახებ.
13.	**„წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქვეყანაში აუცილებელია ეფექტიანი სასოფლოსამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. 1990 წლიდან ირიგაციის მართვა სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. პირველი რიგის სისტემების მართვა საბჭოთა პერიოდში წარმოადგენდა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ფუნქციას. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღნიშნული სამინისტრო გადაკეთდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტად და შემდეგ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა ოთხი შპს. ეს იყო სახელმწიფო კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ როგორც ფინანსური აგრეთვე შესაბამისი ცოდნა-გამოცდილების პრობლემები, რომლის შედეგადაც აღნიშნულმა შპს-ებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება. ოთხი შპს შემდეგ გაერთიანდა სახელმწიფო კომპანიად, რომელიც დღეს პასუხისმგებელია სამელიორაციო სისტემების მართვაზე ქვეყანაში. 2000-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა სამელიორაციო ასოციაციები, რომლებიც პერსპექტიული ჩანდა, თუმცა რიგი მიზეზების გამო მოხდა მათი გაუქმება. დღესდღეობით შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს წყლის მიწოდებას სათავე ნაგებობიდან მეურნეობამდე, თუმცა 50,000 ფერმერთან მუშაობა უზარმაზარი გამოწვევაა და სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება სარწყავი ფართობის ზრდასთან ერთად. სისტემების გაუმართავი მდგომარეობის გამო ბევრ ადგილას წყლის რეგულირება მხოლოდ წყლის გაშვება-გადაკეტვით და არხებში წყლის დონის მიახლოებითი კონტროლით შემოიფარგლება. ამასთან, 2010 წელს „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების გამო საქართველოში არ არსებობს იურიდიული საფუძველი ირიგაციის დარგისთვის. ზემოაღნიშნული კანონის ანულირების შედეგად გაუქმდა ადგილობრივ	კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	

		დონეზე წყლის მართვის ორგანიზაციებისთვის აუცილებელი იურიდიული ბაზისიც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ნიადაგის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, ტექნიკური დონის ამაღლება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სრულყოფა, მიზანშეწონილი გახდა თანამედროვე მიდგომების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ახალი წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის შემუშავება. წარმოდგენილი კანონი დაარეგულირებს ირიგაციის სფეროში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების საქმიანობასა და ურთიერთობას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან. კანონპროექტის მიზანია, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნისა და განვითარებისათვის ეფექტიანი და ხელსაყრელი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების მიერ საირიგაციო ინფრასტრუქტურის სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებისა და პირველადი წყალმოსარგებლის მიერ საირიგაციო მომსახურების გაწევის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ირიგაციის სფეროში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების საქმიანობასა და ურთიერთობას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან, ამასთან, ამ კანონის მოქმედება არ გავრცელდება დამოუკიდებელ წყალმოსარგებლეზე, რომელიც დამატებით წარადგენს არარეგულირებადი წყაროდან წყალაღების შესაბამის ნებართვას/ლიცენზიას და პირებზე, რომლებიც ფლობენ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და საძოვრის კატეგორიის მქონე მიწას. წარმოდგენილი კანონის პროექტის შესაბამისად, წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია იქნება – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად შექმნილი, პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად განახორციელებს გარკვეულ უფლებამოსილებებს. კანონპროექტის		

		შესაბამისად, საირიგაციო მომსახურების სფეროში გაიმიჯნა კომპეტენციის სფეროები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიას შორის. რაც შეეხება პირველად წყალმოსარგებლეს და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციას ან სხვა წყალმომხმარებელს შორის საირიგაციო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდება ეროვნული კომისიის მიერ.		
14.	**„ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადალახულ იქნას გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის, მდგრადი განვითარების, რეგიონული თუ სივრცითი დაგეგმვის სფეროებში არსებული გამოწვევები, ასევე შემცირდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების წინაშე მდგომი საფრთხეები და გაძლიერდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების სიცოცხლისუნარიანობა. კანონპროექტის თანახმად, იქმნება ახალი დაცული ტერიტორია - ერუშეთის ეროვნული პარკი, 11680,5 ჰა ტერიტორიაზე, ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტებში. ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსებით უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მდიდარი ბიომრავალფეროვნების დაცვა. ასევე, დაცული ტერიტორიის შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავებას თურქეთის რესპუბლიკასთან. აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც, ბუნებრივი ტერიტორიების ტრანსფორმაციის შეჩერების, მათი სამეურნეო ზეწოლისაგან დაცვის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებასა და არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოებას.	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ: ეროვნული პარკის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის (თანამშრომლების სახელფასო ფონდი, სხვა საქონელი და მომსახურება, კაპიტალური ხარჯი) საჭირო გახდება 524 000 ლარის გამოყოფა.	

15.	**„რაჭის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადალახულ იქნას გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის, მდგრადი განვითარების, რეგიონული თუ სივრცითი დაგეგმვის სფეროებში არსებული გამოწვევები, ასევე შემცირდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების წინაშე მდგომი საფრთხეები და გაძლიერდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების სიცოცხლისუნარიანობა. კანონპროექტის თანახმად, ონის მუნიციპალიტეტში, 64 164,8 ჰა ტერიტორიაზე, იქნება ახალი დაცული ტერიტორია - რაჭის ეროვნული პარკი. რაჭის ეროვნული პარკის დაარსება ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, „ეკო-დერეფნების“ ქსელის გაფართოებას, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას და დასაქმებას ტურისტულ სერვისებში. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები, რომ ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც, ბუნებრივი ტერიტორიების ტრანსფორმაციის შეჩერების, მათი სამეურნეო ზეწოლისაგან დაცვის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებასა და არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოებას.	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას დაახლოებით 1 107 800 ლარი, (თანამშრომლების სახელფასო ფონდი, სხვა საქონელი და მომსახურება, კაპიტალური ხარჯი).	
16.	**„ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადალახულ იქნას გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის, მდგრადი განვითარების, რეგიონული თუ სივრცითი დაგეგმვის სფეროებში არსებული გამოწვევები, ასევე, შემცირდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების წინაშე მდგომი საფრთხეები და გაძლიერდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების სიცოცხლისუნარიანობა. კანონპროექტის თანახმად, ხდება ჯავახეთის დაცული ტერიტორიების გაფართოება, კერძოდ, იქმნება 4 ახალი აღკვეთილი: ა) ფარავნის ტბის აღკვეთილი-4106 ჰა; ბ) საღამოს ტბის აღკვეთილი-677 ჰა;	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების გაფართოებასთან დაკავშირებით	

		გ) ავჭალის ტბის აღკვეთილი-280 ჰა; დ) აბულის ტბის აღკვეთილი-211 ჰა. 2015 წელს, სამხრეთ კავკასიაში ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი მტკნარი წყლის არეალების (KBA) შეფასებისას, დადგენილი იქნა 35 წერტილი, რომელთაგან ერთ-ერთია ჯავახეთი-არფის ტერიტორია. აღნიშნული ტერიტორია, თვის მხრივ, მოიცავს ფარავნის და საღამოს ტბებს, როგორც მნიშვნელოვან ჰაბიტატს ამიერკავკასიური ენდემების და კალმახის კონსერვაციის თვალსაზრისით. აბულის, ავჭალის, საღამოს და ფარავნის ტბები თავისი აკვატორიით და მიმდებარე ტერიტორიით უმნიშვნელოვანესი ლიმნოლოგიური ობიექტებია, სადაც ერთდროულად თავს იყრის რამდენიმე საინტერესო ფენომენი: ტბების გენეზისი, ჰიფსომეტრიული მდებარეობა, მიმდებარე ჭარბტენიანი ტერიტორიები, თერმული რეჟიმი, ევტროპიკაციული პროცესები, სარკის ფართობები (საქართველოში ყველაზე დიდი ტბა), წყალცვლის რეჟიმები და ანტროპოგენური ზემოქმედება. „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ 1971 წლის კონვენციის (ე.წ. „რამსარის კონვენცია“) მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ „ტერიტორია წარმოადგენს რეპრეზენტატიულ, იშვიათ ანუ უნიკალურ ჭარბტენიან ეკოსისტემას შესაბამის ბიოგეოგრაფიულ რეგიონში”, აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია ტერიტორიის დაცული ტერიტორიის სისტემის ფარგლებში მოქცევა, რათა შესაძლებელი იყოს მოკლევადიან პერიოდში ეკოსისტემის დაცვა ხოლო გრძელვადიან პერიოდში მისი გაუმჯობესება.	არსებული ადმინისტრაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის (თანამშრომლების სახელფასო ფონდი, სხვა საქონელი და მომსახურება) საჭიროა 240 800 ლარის გამოყოფა.	
17.	**„რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **და „კოლხეთის**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადალახულ იქნას გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის, მდგრადი განვითარების, რეგიონული თუ სივრცითი დაგეგმვის სფეროებში არსებული გამოწვევები, ასევე შემცირდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების წინაშე მდგომი საფრთხეები და გაძლიერდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების სიცოცხლისუნარიანობა. კანონპროექტის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 624 ჰა	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რიონის	

	დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	ტერიტორიაზე, იქმნება ახალი დაცული ტერიტორია - რიონის აღკვეთილი. მსოფლიოში ზუთხისებრთა სახეობების გასამრავლებლად საჭირო ბუნებრივი სატოფო ადგილები საკმაოდ შეზღუდულია. მდ. რიონი ერთ-ერთია მსოფლიოს იმ რამდენიმე მდინარიდან, სადაც შემორჩენილია ზუთხისებრთა სატოფო ადგილები და შესაბამისად, ჯერ კიდევ ხდება მათი ბუნებრივ გარემოში გამრავლება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად შავი ზღვის აუზის მხოლოდ ორ მდინარეში - რიონსა და დუნაიში ხდება ზუთხისებრთა ბუნებრივად გამრავლება. შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ სანაპიროზე კი მდ. რიონი ერთადერთი და შეუცვლელი ადგილია ზუთხისებრთა ბუნებრივ პირობებში გასამრავლებლად. მდ. რიონში ზუთხისებრთა სატოფო ადგილები ვრცელდებოდა თითქმის 57 კმ-ის მანძილზე. დღეისათვის ზუთხისებრთა ისტორიული ტოფობის ადგილებიდან მდ. რიონში შემორჩენილია მხოლოდ 9 კმ-იანი (16%) მონაკვეთი, რომელიც მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში. საქართველოში გავრცელებულია ზუთხისებრთა ექვსი სახეობა: სვია (Huso huso); რუსული ზუთხი (Acipenser gueldenstaedtii); ტარაღანა (Acipenser stellatus); ჯარღალა (Acipenser nudiventris); ევროპული (ატლანტური) ზუთხი ანუ ფორონჯი (Acipenser sturio) და კოლხური ზუთხი (Acipenser persicus colchicus)1. საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა ექვსივე სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. მათგან ფორონჯი (A.sturio) შეტანილია გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი (CR) სტატუსით, ხოლო დანარჩენი ხუთი სახეობა - გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) სტატუსით. ზუთხისებრთა სახეობებს გადაშენების საფრთხე ემუქრებათ არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხის მიხედვით, საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა ყველა სახეობა გლობალურად გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე იმყოფება. შესაბამისად, ზუთხისებრნი წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ჯგუფს საქართველოში. ზუთხისებრთა რიცხოვნობა კრიტიკულად შემცირებულია, რისი ძირითადი მიზეზებიცაა წყალსაცავებისა და კაშხლების მშენებლობის გამო მდინარეთა რეგულირება, ჰაბიტატების ფრაგმენტაცია და სატოფო	აღკვეთილის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის (თანამშრომლების სახელფასო ფონდი) საჭიროა 55 200 ლარის გამოყოფა.	

		(საქვირითე) ადგილების განადგურება. ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მდ. რიონში შემორჩენილი 9 კმ-იანი სატოფო მონაკვეთი არის მდინარის ერთადერთი ფუნქციური ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ზუთხისებრთა ბუნებრივ პირობებში გამრავლებას. მდ. რიონი მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატია და მას გააჩნია განსაკუთრებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა ზუთხისებრთა გადარჩენისა და მათი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენისთვის. ზუთხისებრთა კონსერვაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდ. რიონის უწყვეტი მონაკვეთი მდინარის შესართავიდან ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო არხამდე (99 კმ) და ასევე, მდინარის შესართავის მიმდებარე საზღვაო აკვატორია. საწყის ეტაპზე პრიორიტეტულია მდ. რიონში შემორჩენილი ზუთხისებრთა სატოფო ადგილების დაცვა. ---------- **„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** კანონპროექტი წარმოადგენს „რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმდევ კანონპროექტს და დაკავშირებულია ზუთხისებრთა სახეობების დაცვასთან. აღნიშნული კანონპროექტით, კოლხეთის ეროვნული პარკის ფართობი, ზღვის ნაწილში, იზრდება 778.6 ჰექტრით. ასევე, კანონპროექტის შემუშავების მიზანია ქობულეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე სამუშოების წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, კერძოდ, აჭარის რეგიონის გაზმომარაგება წარმოებს „ქუთაისისოხუმის” მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოებით, რომლის 1503 მეტრიანი მონაკვეთი მდებარეობს ქობულეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე, სადაც გაზსადენზე ფუნქციონირებისთვის საჭირო სამუშაოების წარმოება, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით, არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ ინფრასტრუქტურულ ობიექტზე სარეაბლილიტაციო სამუშაოების განხორციელება.	---------- კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კოლხეთის დაცული ტერიტორიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის (თანამშრომლების სახელფასო ფონდი) საჭიროა 44 400 ლარის გამოყოფა.	

18.	**„ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადალახულ იქნას გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის, მდგრადი განვითარების, რეგიონული თუ სივრცითი დაგეგმვის სფეროებში არსებული გამოწვევები, ასევე, შემცირდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების წინაშე მდგომი საფრთხეები და გაძლიერდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების სიცოცხლისუნარიანობა. კანონპროექტის თანახმად, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (kfw) მხარდაჭერით დასრულდა ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის, როშკის ბუნების ძეგლის და ასის აღკვეთილის დემარკაცია. მაღალი სიზუსტით განისაზღვრა აღნიშნული დაცული ტერიტორიების ფართობები, საზღვრის ზუსტი პერიმეტრი და კოორდინატები. დაცული ტერიტორიის საზღვრების გარეთ გამოტანილი იქნა დაცული ტერიტორიისათვის არატიპიური ინფრასტრუქტურა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტი, სასაფლაოები, სახელმწიფო და ადგილობრივი მინიშვნელობის გზები, საკულტო ნაგებობები, წყლის სათავე ნაგებობები და სხვა) და ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.	კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.	
19.	**„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადალახულ იქნას გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის, მდგრადი განვითარების, რეგიონული თუ სივრცითი დაგეგმვის სფეროებში არსებული გამოწვევები, ასევე, შემცირდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების წინაშე მდგომი საფრთხეები და გაძლიერდეს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების სიცოცხლისუნარიანობა. კანონპროექტის თანახმად, დასრულდა თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის და თუშეთის ეროვნული პარკის დემარკაცია. მაღალი სიზუსტით განისაზღვრა აღნიშნული დაცული ტერიტორიების ფართობები, საზღვრის ზუსტი პერიმეტრი და კოორდინატები. დაცული ტერიტორიის საზღვრების გარეთ გამოტანილი იქნა დაცული ტერიტორიისათვის არატიპიური ინფრასტრუქტურა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტი, სასაფლაოები, სახელმიწფო და ადგილობრივი მინიშვნელობის გზები,	კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.	

		საკულტო ნაგებობები, წყლის სათავე ნაგებობები და სხვა) და ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.		
20.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების თაობაზე მთავრობის განკარგულებების შესრულების მდგომარეობის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატოს შესაბამისი მუხლი, რომლითაც საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა - გამოიწვევს დაჯარიმებას (500 ლარის ოდენობით). ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 663 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები საჭიროებს რედაქციულ ცვლილებას და აღნიშნული ნაწილები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობით, მისი ნაწილით ან დერივატით უკანონო ვაჭრობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. 2. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის, მისი ნაწილის ან დერივატის უკანონო ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ზღვიდან ინტროდუქცია – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.“ ასევე, აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს სამართალდარღვევის გამოვლენის დროს აღმოჩენილი მოპოვებული თევზის და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების ცოცხლად ამოღების შემთხვევაში მათი ბუნებრივ გარემოში დაბრუნების საკითხს. გამომდინარე აღნიშნულიდან, საჭიროა დარეგულირდეს აღნიშნული ქმედება და კოდექსის 86-ე მუხლის "შენიშვნა"-ში გაჩნდეს შესაბამისი ჩანაწერი.	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტით გათვალისწინებული ჯარიმების შესაბამისად. კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ხარჯვით ნაწილზე და არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.	

21.	„საქართველოს ტყის კოდექსი“ (ახალი კანონპროექტი) (თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ტყის ახალი კოდექსის შემუშავების საჭიროება განაპირობა ტყის მართვის არასწორმა პრაქტიკამ და არსებული კანონმდებლობის გაუმართაობამ. ტყის კოდექსი არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, მოუწესრიგებელია თავად კოდექსით განსაზღვრული მთელი რიგი საკითხები და ვერ პასუხობს სატყეო რეფორმის ამოცანებს. ზემოაღნიშნული პრობლემები ხაზგასმულია ასევე, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეროვნული სატყეო კონცეფციის 3.1 და 6.1 თავებში. კოდექსი სრულიად ახალ სამართლებრივ წესრიგს დაამკვიდრებს სატყეო სექტორში და მოიცავს მთელ რიგ მექანიზმებს ტყის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად. კანონპროექტის პირველ თავში მოცემულია კანონის რეგულირების სფერო და მიზანი, ტერმინთა განმარტებები. კოდექსის მიზანია საქართველოს ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად ტყის თვისებებისა და რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კოდექსი განსაზღვრავს ტყის მართვის ძირითად პრინციპებს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ტყის მდგრად მართვას. კოდექსის მოწესრიგების სფეროდ განისაზღვრა ტყის მართვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. ტყის მართვა არის ერთ-ერთი ცენტრალური ტერმინი, რომელიც განმარტებულია, როგორც ტყის სასარგებლო თვისებებისა და რესურსების გამოყენების, აგრეთვე, ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენაგაშენების ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება. კოდექსის პირველ ნაწილში ძირითადი ტერმინების განმარტება ემსახურება კოდექსში მოცემული ინსტიტუტების ერთგვაროვანი გაგებისა და პრაქტიკაში გამოყენების მიზნებს. კოდექსი მოწესრიგების სფეროს განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს ტყის ცნება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო, კერძო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ტყეებს და მათი რესურსების ერთობლიობას. კანონპროექტმა უარი თქვა ტყის ფონდის ცნებაზე და ის შეიცვალა ტყის ცნებით, რომელიც ასევე მოიცავს ტყის მიწებს, ანუ იმ ფართობებს,	კანონპროექტის მიღება შეამცირებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს და მეორე საბიუჯეტო წლიდან ნულს გაუტოლდება. ტყის მართვის ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნა გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას მხოლოდ პირველ საბიუჯეტო წელს, თუმცა აღნიშნული საქმიანობიდან მოზიდული შემოსულობებით ის თითქმის სრულად გადაიფარება პირველსავე წელს, უკვე მერე საბიუჯეტო წლიდან ტყის მართვის ორგანო სრულად გათავისუფლდება საბიუჯეტო დაფინანსების საჭიროებისგან,	

		რომლებიც ტყის ეკოსისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული განმარტება მოიცავს მთელ რიგ კრიტერიუმებს, რომლებიც გაამარტივებს ტყის საზღვრების დადგენას. ტყის მდგრადი მართვის პრინციპები აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს ტყის კოდექსის მიერ დამკვიდრებული ტყის მდგრადი მართვა გულისხმობს ტყის გამოყენებას ისეთი მოცულობით, რომ შენარჩუნებული იყოს მისი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და მისი პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულებული იყოს ტყის შესაბამისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები ლოკალურ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე და არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება. საქართველოს ტყეების მართვა მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ტყის მართვის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. კოდექსი ემყარება სიფრთხილის პრინციპს ტყის დაცვითი ფუნქციებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად, რომლის მიზანია ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იყოს ტყის ფუნქციური დანიშნულება, რათა ტყისგან ერთი სახის სარგებლის მიღებამ ტყის სხვა ფუნქციური დანიშნულების დეგრადაცია არ გამოიწვიოს. ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრადი მართვის პრინციპს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო სარგებლობის მიზნით ტყეების ყველასთვის ხელმისაწვდომობა. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკომპენსაციო ზომები. საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფის მიზანი რამდენადაც ტყის კოდექსის მიზანია მოაწესრიგოს ტყის დაცვის და ტყითსარგებლობის საკითხები, მნიშვნელოვანია საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფა. ტყეების მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე, კატეგორიებად დაყოფის მიზანია ხელი შეუწყოს ტყის ეკოლოგიური ფუნქციების დაცვასა და	დამოუკიდებლად შეძლებს თვითკმარ ეკონომიკურ საქმიანობას. იმისათვის, რომ ტყის მართვის ორგანოს საქმიანობა გახდეს თვითკმარი, მხოლოდ პირველ წელსაა საჭირო 20 მლნ ლარის ოდენობის თანხების გამოყოფა ბიუჯეტიდან, შემდგომ წლიდან კი ის დამოუკიდებლად შეძლებს საჭირო ფინანსების მოზიდვას მის მიერ გაწეული ეკონომიკური საქმიანობიდან.	

		ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ტყის ეკონომიკური პოტენციალის მდგრად გამოყენებას და ტყეების სოციალური ფუნქციების განხორციელებას. ტყის თითოეულ კატეგორიას აქვს საერთო და მათი განმასხვავებელი ნიშნები. კატეგორიზაციის მიზანია ხაზი გაუსვას ტყეების უპირატეს ამოცანას. საქართველოს ტყე მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებითა და მართვის ძირითადი მიზნების მიხედვით იყოფა: ა) დაცული ტყე; ბ) დაცვითი ტყე; გ) საკურორტო და სარეკრეაციო ტყე; დ) სამეურნეო ტყე. ტყის სტატუსის მინიჭება, ტყეზე საკუთრების უფლება ტყის კოდექსის ძალაში შესვლა წარმოშობს ვალდებულებას, რომ ამ კოდექსით განსაზღვრული ტყის ცნების ელემენტების გამოყენებით განისაზღვროს საქართველოს ტყის გეოგრაფიული არეალი. საქართველოს მასშტაბით ტერიტორიისთვის სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობა, რომელიც შემუშავდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით. კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, რომელიც დააკმაყოფილებს ტყის სტატუსის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობისა და კომისიის (უწყებათაშორისი) დასკვნის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიისთვის კერძო საკუთრების ტყის სტატუსის მინიჭების თაობაზე. საქართველოს ტყის კოდექსის პროექტით დადგენილი წესები ვრცელდება საქართველოს ტყეზე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, გარდა იმ გამონაკლისი წესებისა, რომელსაც ადგენს ეს კოდექსი. ტყის კოდექსის პროექტი აწესრიგებს საქართველოს ტყისათვის სტატუსის შეწყვეტის საკითხს. გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინტერესთა		

		შეპირისპირების საფუძველზე. თუ კი ტყის სტატუსის შეწყვეტის ინტერესი აღემატება ტყის შენარჩუნების ინტერესს, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ტყის მართვის ორგანოს/კერძო მესაკუთრის სასარგებლოდ საკომპენსაციო ღონისძიების დადგენაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ტყის სტატუსის შეწყვეტის უპირატესი ინტერესი შეიძლება იყოს: ა) სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები; ბ) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელება, რამდენადაც ეს შეუძლებელია განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის ფარგლებში. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტყის სფეროში და საზოგადოების ჩართულობა საქართველოს ტყის კოდექსის პროექტის მიზანი, მიიღწეს ტყის მდგრადი მართვის ინსტრუმენტების დანერგვა საქართველოს რეალობაში, შესაძლებელია პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის შედეგად. კოდექსით იმიჯნება ტყის მართვის სფეროში შესაბამისი კომპეტენციები. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაა ტყის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოა, გარდა დაცული ტერიტორიების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე არსებული ტყისა, ამ კანონის საფუძველზე და სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირი. კერძო საკუთრების ტყის მართვას ახორციელებს ტყის მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში ტყის მართვის ორგანოები განისაზღვრება შესაბამის დონეზე. საქართველოს ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. კოდექსის აწესრიგებს ტყის აღრიცხვის და დაგეგმვის საკითხებს. საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემა შედგება საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის, ტყეთმოწყობისა და საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემისაგან.		

		კოდექსი აწესრიგებს ტყით საერთო სარგებლობის საკითხებს. ტყით საერთო სარგებლობის ცნების ქვეშ ექცევა - ტყის ბუნებრივი გარემოთი უსასყიდლო სარგებლობა, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და არამერქნული რესურსები, ხოლო ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში ხორციელდება ტყითსარგებლობა, რომელიც არ ექცევა ტყით საერთო სარგებლობის უფლების ფარგლებში, ანუ საჭიროებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტს. აღსანიშნავია, რომ კოდექსის პროექტით გათვალისწინებულია ფიჩხით სარგებლობა ტყით საერთო სარგებლობის ფარგლებში. კოდექსის შესაბამისად, საქართველოს ტყეში შეიძლება განხორციელდეს ტყით სპეციალური სარგებლობის შემდეგი სახეები: ა) სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადება; ბ) ტყის არამერქნული რესურსებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადება; გ) პლანტაციური მეურნეობის მოწყობა; დ) სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა; ე) საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა; ვ) თევზის მეურნეობის მოწყობა ზ) ცხოველთა თავშესაფრის და სანაშენის მოწყობა; თ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება; ი) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა. კ) განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა. მათგან სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადება და ტყის არამერქნული რესურსებისა და მერქნიანი მცენარეების პროდუქტების დამზადება მართვის ორგანოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. სხვა სახის სარგებლობის უფლება შეიძლება გაიცეს დაინტერესებულ პირებზე, დადგენილი წესით. ტყის კოდექსით წესრიგდება ტყის აღდგენა-გაშენების საკითხები. ის ტყის მდგრადი მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც არის		

		სატყეოსამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ნიადაგის დაცვა ქარისმიერი, წყლისმიერი და სხვა ეროზიული პროცესებისგან, აგრეთვე ტყის სახეობრივი შემადგენლობის, პროდუქტიულობის, დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაუმჯობესება ტყით დაუფარავ ფართობებზე, დაბალი სიხშირისა და წარმადობის კორომებში ტყის აღდგენა-გაშენების გზით. ტყის კოდექსის ადგენს ტყის მოვლის ღონისძიებებს, რომლის მიზანია ტყის ფუნქციების შენარჩუნება და გაუმჯობესება. ტყის მოვლის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ტყის მართვის ორგანო. ტყის კოდექსი ტყის მართვის ორგანოს ავალდებულებს უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყევის და სატყეო საქმის სპეციალისტის სტატუსის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა. კოდექსი ეხმიანება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სატყეო განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის განვითარების ხელშეწყობას.		
22.	**„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს დიდ ქალაქებსა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. დაბინძურებული ჰაერის უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ხდება ნაადრევი სიკვდილის მიზეზი. ასევე, იგი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე და კულტურულ ძეგლებზე. დღეისთვის ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროს მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ კი საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სრულად ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევას და ჰაერის ხარისხის მართვის თანამედროვე ევროპულ მიდგომებს. ამიტომ, ატმოსფერული ჰაერის დაცვის უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით ხდება კანონში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა, რაც უზრუნველყოფს: ა) ქვეყანაში ჰაერის ხარისხის შეფასების თანამედროვე გამართული სისტემის ჩამოყალიბებას;	კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.	კანონპროექტის მიღების ვალდებულება გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან. კერძოდ, ასოცირების შესახებ შეთანხმების 306-ე და 312-ე მუხლებიდან გამომდინარე, რომლის

		ბ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის თანამედროვე ევროპული პრინციპების დანერგვას, რაც ქვეყნის ტერიტორიის ჰაერის ხარისხის მართვის ზონებად და აგლომერაციებად დაყოფას გულისხმობს, ხოლო იმ ზონასა და აგლომერაციაში, სადაც ზღვრული ნორმების გადაჭარბება დაფიქსირდება, დაბინძურების შემცირების ღონისძიებების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას; გ) მოსახლეობის დროულად და უწყვეტად ინფორმირებას, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, ისე მისი გაუმჯობესების გეგმების შესახებ. ახალი საკანონდებლო მოთხოვნების დაწესება და მათი აღსრულება უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.		თანახმადაც საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება წინამდებარე შეთანხმების XXVI და XXVII დანართებში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან. კერძოდ, კი ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ 2008 წლის 21 მაისის ვროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC დირექტივის, ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ 2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/107/EC

				დირექტივისა და ფტორირებული სათბურის აირების შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროკომისიის 2014 წლის 16 აპრილის 517/2014 რეგულაციის ძირითად მოთხოვნებთან.
23.	**„წყლის რესურსების მართვის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა 1997 წლის 16 ოქტომბერს, ფაქტიურად არ რეგულირდება წყლის ბუნებრივი რესურსების მართვასთან, აგრეთვე წყლის ობიექტებით სარგებლობასთან და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები. დღეისათვის წყლის რესურსების მართვა ხდება ცენტრალიზებულად და არა ამა თუ იმ წყლის ობიექტის გეოგრაფიულ საზღვრებში - მდინარის აუზის/სააუზო უბნის დონეზე, რაც შეუძლებელს ხდის წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას. ალტერნატივას წარმოადგენს სააუზო მართვის მოდელი, რომელიც გულისხმობს ინტეგრირებულ მიდგომას და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას. აგრეთვე, სამართლებრივი რეგულირების მიღმა არის დარჩენილი წყლის რესურსების დაცვისა და წყლით რაციონალური სარგებლობის თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის წყალსარგებლობის მთელი რიგი ფორმები (მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება), ჩამდინარე წყლებით წყლის ობიექტების დაბინძურება (წყალჩაშვება) და სხვა. კანონპროექტის მიზანია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის, შიდა ზედაპირული წყლების, გარდამავალი წყლების, სანაპირო წყლების და მიწისქვეშა წყლების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისთვის ძირითადი საფუძვლების ჩამოყალიბება. კანონპროექტი	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რაც დაკავშირებული იქნება სააუზო მართვის დანერგვისათვის სავალდებულო ინსტიტუციური ცვლილებების გატარებისთვის (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების გაძლიერება)	კანონპროექტის მიღების ვალდებულება გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან. კანონპროექტი შესაბამისობაშია წყლის სფეროში მოქმედ ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან: ა) დირექტივა N 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში გაერთიანების მოქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, N 2455/2001/EC

		შედგება 13 თავისაგან, პირველ თავში ასახულია პროექტის ზოგადი დებულებები (მიზანი, საგანი, სფერო, ტერმინთა განმარტებები, პრინციპები). მე-2 თავში განსაზღვრულია წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის სფეროში სხვადასხვა სუბიექტების, უწყებების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციები. მე-3 თავი შეიცავს წყლის რესურსების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ, ასევე, წყლის ობიექტების და მათი დაცვის ზონების მარეგულირებელ ნორმებს. მე-4 თავში მოცემულია წყალსარგებლობასთან დაკავშირებული დებულებები, განმარტებულია საერთო და სპეციალური წყალსარგებლობა, დადგენილია წყალსარგებლობის პრინციპები, სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები და ა.შ. მე-5 თავი ეხება წყლის რესურსების მართვის სისტემას და მასში დარეგულირებულია ისეთი საკითხი, როგორიცაა წყლის ობიექტების კლასიფიკაცია, წყლის ხარისხის მაჩვენებლები, წყლის ხარისხის შენარჩუნება/გაუმჯობესების ღონისძიებები, მდინარის აუზის მართვის გეგმის მარეგულირებელი ნორმები, მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. მე-6 თავი ეხება წყლის რესურსების დაცვისა და აღდგენის საკითხებს. მე-7 თავი - წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების კონტროლს. მე-8 თავში ასახულია წყლის რესურსების მონიტორინგისა და წყლის გამოყენების აღრიცხვის საკითხები. მე-9 თავი ადგენს წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის მექანიზმებს, ხოლო მე-10 თავი ეხება წყლის რესურსების გამოყენების სფეროში არსებულ ეკონომიკურ მექანიზმებს. კერძოდ, დგინდება, რომ სპეციალური წყალსარგებლობისთვის (წყალაღება), ფასიანი ბუნებათსარგებლობისა პრინციპიდან გამომდინარე, პირები გადაიხდიან შესაბამის მოსაკრებლებს. მე-11 თავით განისაზღვრება პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის. მე-12 თავი განსაზღვრავს კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც უნდა იქნენ მიღებული ამ კანონის საფუძველზე. ასევე შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რაც დაკავშირებულია წყალმოსარგებლეების მიერ გარკვეული ვალდებულებები შესრულებასთან დაკავშირებით. მე-13 თავში ასახულია კანონის დასკვნით დებულებები (კანონის ძალაში შესვლის შემდეგ შესაბამისი ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება, კანონის ამოქმედება).	აუცილებელი ხარჯების გამოყოფასთან. მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების ამოქმედების შემდგომ, აუცილებელი ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნული გეგმებით დადგენილი ღონისძიებების ხასიათსა და მასშტაბზე.	გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად. ბ) დირექტივა N 91/271/EEC ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ, N98/15/EC დირექტივითა და N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად; გ) ნდირექტივა N 91/676/EC სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ, (EC) N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად; დ) დირექტივა N 2007/60/EC წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ; ე) დირექტივა N 98/83/EC ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის

				შესახებ, (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.
24.	**„ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	კანონპროექტის მიზანია, ნარჩენების მართვის კოდექსის მოქმედების სფეროდან გამოვიდეს: ა) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი, მათ შორის ,,ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების შესაბამისად გადამუშავებული პროდუქტისა, გარდა ინსენერაციისათვის, ნაგავსაყრელზე განთავსებისათვის ან ბიოგაზის ან კომპოსტირების საწარმოსათვის განკუთვილისა; ბ) მკვდარი (არ მოიაზრება დაკლული ცხოველების ტანხორცი), მათ შორის ცხოველები, რომლებიც მოკლულ იქნა ეპიზოოტიური დაავადებების აღმოსაფხვრელად და რომლებიც განიკარგება ,,ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების შესაბამისად. ამასთან, ნივთიერება ან საგანი, რომელიც მიღებულია ისეთი წარმოების პროცესის შედეგად, რომლის მიზანიც არ არის აღნიშნული ნივთიერების ან საგნის წარმოება, შესაძლებელია არ იქნეს მიჩნეული ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ ნარჩენად, არამედ ჩაითვალოს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:	კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	კანონპროექტის მიღების ვალდებულება გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან და ითვალისწინებს ევროსაბჭოს 2008/98 დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტებთან დაკავშირებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას.

		ა) ნივთიერების ან საგნის შემდგომი გამოყენება წინასწარ არის განსაზღვრული; ბ) ნივთიერების ან საგნის პირდაპირ გამოყენება შესაძლებელია გადამუშავების გარეშე, გარდა ჩვეულებრივი საწარმოო პრაქტიკით განსაზღვრული გადამუშავებისა; გ) ნივთიერება ან საგანი იწარმოება, როგორც წარმოების პროცესის განუყოფელი ნაწილი; დ) ნივთიერების ან საგნის შემდგომი გამოყენება კანონიერია, რაც გულისხმობს, რომ ნივთიერება ან საგანი აკმაყოფილებს სპეციალური გამოყენებისათვის განსაზღვრულ ყველა შესაბამისი პროდუქტის, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და არ მოახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.		
25.	**„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „რეგულირების საფასურის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	მარიკულტურის (საზღვაო აქვაკულტურის) განვითარება ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეზერვია. საქართველოს მდიდარია წყლის რესურსებით. მიუხედავად ამ მხრივ არსებული ძალზედ ხელსაყრელი პირობებისა, საქართველოში არც–ერთი გამართული მარი–ფერმა არ ფუნქციონირებს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თევზისა და თევზეულის მოხმარება იზრდება ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე და მოსალოდნელია ზრდის ტენდენციის შენარჩუნება მომდევნო წლებშიც, აუცილებელია ამ დარგის განვითარებაზე ზრუნვა; ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების არსებობა ქმნის ხელსაყრელ გარემოს აქვაკულტურის პროდუქციის ექსპორტისათვის ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც მზარდი მოთხოვნაა ორგანული აქვაკულტურის პროდუუქციაზე; აქვაკულტურის პროდუციაზე მაღალი მოთხოვნაა ყოფილი საბჭოთა კავშირის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. აღნიშნული კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და სამართლებრივი საფუძვლები აკვაკულტურის წარმოების და/ან გამოყენების სფეროში, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა წყლის ორგანიზმების გამოზრდა ან/და კულტივირება ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფენ ორგანიზმების პროდუქტიულობის მატებას ბუნებრივ	კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან საჭირო იქნება სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის დამატებითი საშტატო ერთეულები (დაახლოებით 6 საშტატო ერთეული).	კანონპროექტების მიღების ვალდებულება გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებიდან. კერძოდ, „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების 234- 238-ე

		გარემოში ამ ორგანიზმების პროდუქტიულ შესაძლებლობებთან შედარებით, რა დროსაც წყლის ორგანიზმები რჩება ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში კულტივირების ან/და გამოზრდის თითოეული ეტაპის განმავლობაში. ახალი კანონმდებლობა დაადგენს ერთიან მიდგომას და წესებს აკვაკულტურის პროცესის წარმოების რეგულირების მიმართულებით, ბუნებრივი გარემოს დაცვის, ადამიანის კვების, რეკრეაციის, სოციალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ამ და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.		მუხლები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს თევზის პროდუქტით ვაჭრობასა და მეთევზეობის პოლიტიკას. თევზის მარაგის მდგრადი და გონივრული მართვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და სავაჭრო ურთიერთობებში ეფექტური მმართველობის ხელშეწყობის მიზნით საქართველომ აიღო ვალდებულება განახორციელოს პოლიტიკა და მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა არალეგალური, არადოკუმენტირებული და დაურეგულირებელი პროდუქცია არ მოხვდეს სავაჭრო მიმოქცევასა და შესაბამის ბაზრებზე. შეთანხმების თანახმად, მხარეები მხარს დაუჭერენ ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა გამოცდილების გაცვლა

				და დახმარების გაწევა მდგრადი თევზჭერის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პოლიტიკის გატარების მიზნით, რომელიც ეყრდნობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და მხარეთა ინტერესების პრიორიტეტულ სფეროებს, მათ შორის: ბაზრების ეფექტიანობა, განსაკუთრებით კი, მწარმოებელი ორგანიზაციების ხელშეწყობის, მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მარკეტინგის სტანდარტებისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფის გზით; და მეთევზეობის დარგისთვის სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობას.
26.	**„სასოფლო - სამეურნეო**	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დაგეგმილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –	კანონპროექტის მიღება გავლენას არ	

	კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა. კერძოდ: სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო შექმნილია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ხოლო ცვლილების შედეგად დაგეგმილია სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სტრუქტურაში გადასვლა.	მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

27.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	კანონპროექტის მიღების მიზეზია, „გემებისა და ნავსადგურების უშიშროების შესახებ“ საერთაშორისო კოდექსის საფუძველზე მომზადებული მთავრობის დადგენილება, რომელიც აწესებს საქართველოს ნავსადგურების, იქ მყოფი ქართული და უცხო ქვეყნის დროშით მცურავი გემებისა და ეკიპაჟების, ნავსადგურის პერსონალის, სტუმრების/ვიზიტორების, ტვირთის, აღჭურვილობების და სხვ. უშიშროების დაცვის მექანიზმებს და პროცედურებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევროპული პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია No 336/2006 საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის იმპლემენტაციასა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 3051/95 გაუქმების შესახებ და საერთაშორისო მართვის კოდექსი გემების უსაფრთხო ოპერაციისა და დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (ISM კოდექსი) მომზადებული საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანების მოთხოვნების შესრულება, რომლითაც გათვალისწინებულია გემის კომპანიის მიერ გემის უსაფრთხო მართვისა და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების უზრუნველყოფა. საზღვაო ტრანსპორტის დირექტორის ბრძანებაში გაწერილია, გემის მმართველი კომპანიების იმ აუცილებელ ღონისძიებათა გატარება, რომლითაც უზრუნველყოფილია გემის უსაფრთხო მართვა და კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარება გემის ოპერაციისას. ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს ვალდებულება აქვს დანერგოს ხსენებული რეგულაცია, რომელიც ადგენს ISM კოდექსის მოქმედების სფეროს, თუ რა ტიპის მცურავ საშუალებებზე უნდა გავრცელდეს რეგულაცია და ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს ISM კოდექსის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გემის კომპანიებისთვის სანქციების დაწესებას.	ფინანსურ სახსრებს არ მოითხოვს	კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევროპული პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია No 336/2006 საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის იმპლემენტაციასა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 3051/95 გაუქმების შესახებ და საერთაშორისო მართვის კოდექსი გემების უსაფრთხო ოპერაციისა და დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (ISM კოდექსი) მომზადებული საზღვაო ტრანსპორტის დირექტორის ბრძანების, ასევე 2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და

		„საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში დეტალურად არის გაწერილი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები. მოცემულია გემისა და ნავსადგურის უშიშროების ორგანიზება, პრევენციული და კონტროლის მექანიზმები, თანამშრომლობა და კოორდინაცია და ასევე სამართალდამცავი ორგანოების და სამაშველო სამსახურების ჩართულობა. რამდენადაც უშიშროების ეფექტური დაცვა სწორედ წარმატებულ პრევენციულ მოქმედებებზეა დამოკიდებული. პრევენციული ზომები მოიცავს ნავსადგურის, ტერმინალისა და გემის უკანონო შეღწევისგან დაცვის მექანიზმებს და პროცედურებს.		საბჭოს (EC) №725/2004 რეგულაცია გემებისა და ნავსადგურების მოწყობილობების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე“ და „2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/65/EC დირექტივა ნავსადგურების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე“ დირექტივების შესაბამისად მომზადებული „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების შესრულება.
28.	**„საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის**	კანონპროექტის მიზანია საქართველოს საზღვაო კოდექსში გემზე სერტიფიკატების დედნების არსებობის მოთხოვნასთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერის შესაბამისობაში მოყვანა არსებულ რეალობასთან და	ფინანსურ სახსრებს არ მოითხოვს	

	შესახებ“	ასევე საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ საზღვაო სფეროს მარეგულიერბელი ორგანიზაციების აღიარების პირობების განსაზღვრა.		
29.	**„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მიღების მიზეზია, საქართველოში მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების სრულყოფა და მისი მისადაგება მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ კონვენციასთან (შემდგომში STCW კონვენცია). 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა STCW კონვენციაში ახალი დამატება - IGF კოდექსს დაქვემდებარებულ გემებზე კაპიტნის, ოფიცრებისა და რიგითების წვრთნისა და კომპეტენციის მინიმალური მოთხოვნები. საჭიროა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო კონვენციასთან. აგრეთვე, 2016 წლის 25 ნოემბერს რეზოლუცია MSC.416(97) და რეზოლუცია MSC. 417(97)-ის საფუძველზე STCW კონვენციაში განხორციელდა რიგი ცვლილებები და დაემატა ახალი მოთხოვნები. აღნიშნული ცვლილებები ეხება სამგზავრო გემებზე დასაქმებული მეზღვაურების კვალიფიკაციასა და კომპეტენციის სტანდარტებს და პოლარულ წყლებში ნავიგაციისათვის საჭირო კვალიფიკაციის და კომპეტენციის მოთხოვნებს. აღნიშნული რეზოლუციით, 2018 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა პოლარულ წყლებში გემების ექსპლუატაციისათვის კაპიტნისა და საგემბანე ოფიცრების წვრთნისა და კვალიფიკაციის მინიმალური მოთხოვნები და სამგზავრო გემის კაპიტნის, ოფიცრის, რიგითისა და სხვა პერსონალის დამატებითი სავალდებულო წვრთნისა და კომპეტენციის ახალი სტანდარტები, რომლებიც ასევე საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობაში ასახვას.	ფინანსურ სახსრებს არ მოითხოვს	
30.	**„საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	წარმოდგენილი პროექტის მიღების მიზანია სწორად განისაზღვროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის კომპენტეცია კონკრეტულ მიმართულებებში. საქართველოს კანონში „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ შესატანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კანონის მე-19 მუხლის პირველ პუნქტში არ არის	ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებით დაფინანსების წყაროს; ნორმატიული აქტის	

		ნახსენები სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური, თუმცა ის მონაწილებს საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში, რადგან ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით დაყოფის სისტემების, ასევე დერეფნების, ფარვატერების და რეკომენდებული გზების შემუშავებისას გამოიყენება სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის კვლევები და მიღებული წესების საბოლოო ასახვას ნავიგაციისათვის დამხმარე სახელმძღვანელოებში, რუკებზე და/ასევე „ზღვაოსანთა უწყებებში“ ახორციელებს სწორედ სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური. კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსებული რედაქცია განმარტავს, რომ „საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გარე საზღვრის გეოგრაფიული კოორდინატები დაიტანება დადგენილი მასშტაბის რუქებზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ქვეყნდება „ზღვაოსანთა უწყებებში. ამ რუქების ასლები შესანახად ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UNO) გენერალურ მდივანს“, მაშინ როდესაც სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის N 1-1/643 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მიხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს „საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) სტანდარტების და რეკომენდაციების შესაბამისად, უსაფრთხო ნაოსნობისათვის დამაკმაყოფილებელი საზღვაო ქაღალდის და ელექტრონული სანავიგაციო (ENC) რუკების შექმნას და გამოცემას, სანავიგაციო ცვლილებისას მათ მუდმივ კორექტირებას, ასევე შუქურების ჩამონათვალის და სხვა საზღვაო პუბლიკაციების გამოცემას“ იმავე მუხლის და პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად „არსებული საზღვაო რუკებისა და პუბლიკაციების კორექტირების მიზნით „ზღვაოსანთა უწყებების“ გამოცემა და მომხმარებლებზე მიწოდება.	პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;	
31.	**„საავტომობილო**	საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის (საერთაშორისო /	ფინანსურ სახსრებს	**ასოცირების შესახებ**

	ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”	ქვეყნის შიდა) სფეროში და სამგზავრო ავტოსადგურებში არსებული მდგომარეობის მოწესრიგებისათვის ოპტიმალური და მოქნილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. დღეს, არსებული სრული ლიბერალიზაციის პირობებში, მოხდა საავტომობილო სამგზავრო გადაყვანების სფეროს მთავარი შემადგენელი ნაწილის - სამარშრუტო ქსელის მითვისება ავტოსადგურების მესაკუთრეებისა და სხვა პირების მიერ, რომელთა თანხმობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია ქვეყნის შიგნით რეგულარულ მარშრუტებზე საქმიანობის განხორციელება. ასეთივე უწესრიგობას ვაწყდებით სადგურების გვერდის ავლით მგზავრთა კომერციული გადაყვანების განხორციელებისას. სისტემატური ხასიათი მიიღო მგზავრთა გადაყვანამ მასობრივი თავშეყრის ადგილებიდან, ნაცვლად ავტოსადგურებისა, რის გამოც მკვეთრად გაიზარდა ავტობუსების ქაოსური მოძრაობის ინტენსივობა, იქმნება საცობები, საგრძნობლად გააუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა. ხშირ შემთხვევებში გადაზიდვების პროცესი ხორციელდება არალეგალიზებული (სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე მომუშავე) გადამზიდველების მიერ მოძრაობის განრიგების გარეშე, მოძრაობის, გარემოს დაცვისა და მძღოლთა შრომისა და დასვენების ნორმების უგულებელყოფით. მნიშვნელოვნად გაიზრდა დაბალი კვალიფიკაციის მქონე არაპროფესიონალთა რიცხვი, რომლებიც იძენენ რესურსამოწურულ, იაფფასიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა უმრავლესობა არც ტექნიკური პარამეტრებით და არც ეკონომიკური თვალსაზრისით არ შეესაბამება მგზავრთა რეგულარული გადაყვანის მოთხოვნებს და იწყებენ მგზავრთა გადაყვანას. აღნიშნულის შედეგად ის მეწარმე-გადამზიდველები, რომლებიც მგზავრთა გადაყვანას ახორციელებენ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვითა და ბიუჯეტთან სრული ანგარიშსწორებით, აღმოჩნდენ არაკონკურენტუნარიან პირობებში, რაც იწვევს მათ განდევნას სატრანსპორტო ბაზრიდან და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულებელყოფით მომუშავე ავტობუსის მფლობელი ინდივიდუალური პირებით ჩანაცვლებას. ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახება მოსახლეობისა და	არ მოითხოვს	**შეთანხმება; დანართი XXIV; ტრანსპორტი, სოციალური პირობები** 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1071/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობების შესახებ საერთო წესებს. ასოცირების დღის წესრიგის 2018 წლის გეგმის N192 პუნქტი „2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1071/2009 რეგულაციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ბ) გ) და დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით კანონპროექტების მომზადება“

		ტურისტების მომსახურების დონეზე, რომლებმაც წინასწარ უნდა იცოდნენ რომელ სადგურიდან, რა მიმართულებით და სიხშირით გადის ავტობუსი, გასვლისა და დანიშნულების ადგილზე ჩასვლის დრო და მგზავრობის ღირებულება, აგრეთვე მგზავრის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირის ვინაობა და ა.შ. კანონპროექტი ითვალისწინებს ავტოსადგურების სერტიფიცირების და მგზავრთა გადამყვანი ოპერატორების ახალი სანებართვო პირობების შემოღებას. საავტომობილო გადაყვანა გადაზიდვის სფეროში „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სანებართვო საქმიანობის სახეები - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანა; საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა და ამის შესაბამისად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით განსაზღვული 4 სახის ნებართვის, როგორიცაა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის ერთჯერადი და მრავალჯერადი ნებართვა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ერთჯერადი და მრავალჯერადი ნებართვა, იცვლება და წინამდებარე პროექტით სანებართვო საქმიანობის სახეებად განისაზღვრება ზოგადად - საავტომობილო სამგზავრო გადაყვანა და საავტომობილო სატვირთო გადაზიდვა. შესაბამისად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში ცვლილებით ხდება ორი უნივერსალური სახის ნებართვის შემოღება - საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის ნებართვა და საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა, რომლის აღების შემთხვევაში გადამზიდველს მიეცემა საშუალება განახორციელოს, როგორც საერთაშორისო ისე ქვეყნის შიდა რეგულარული თუ არარეგულარული გადაყვანა/გადაზიდვა. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე, ავტოსადგურის სერტიფიცირებას და მასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ამასთან პროექტით ხდება ავტოსადგურების დიფერენცირება 3 კლასად.		

		მგზავრობის უსაფრთხოების, მგზავრის მიმართ გადამზიდველის პასუხისმგებლობის ამაღლებისა და სამგზავრო გადაყვანების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროექტით დადგენილია სანებართვო პირობები, წარმოსადგენი დამატებითი დოკუმენტების ნუსხა, მოქმედების ვადები, როგორც ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ისე საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანის და საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის შემთხვევაში.		
32.	**„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	ცვლილება მიზნად ისახავს არსებული ხარვეზის აღმოფხვრას, კერძოდ არსებულ კანონში არ არის სრულყოფილად განსაზღვრული სამოქალაქო ავიაციის აეროდრომებისა და აეროპორტების კლასიფიკაცია და მათი დადგენის პირობები; კოდექსში სრულყოფილად არ არის დარეგულირებული აეროდრომების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. ცვლილების პროექტი ეხება აეროდრომების რეგულირებასთან დაკავშირებულ ნორმებს, კერძოდ ადგენს ან/და აკონკრეტებს მოთხოვნებს აეროდრომების სერტიფიცირებასთან დაკავშირებით, აგრეთვე არეგულირებს აეროდრომის დაცვის არეს და აღნიშნულ არეში დაბრკოლებების შემქმნელი ობიექტების მიმართ ადგენს მოთოხვნებს, განსაზღვრავს დაბროკოლებების შემქმელი ობიექტების ნიშანდებას და სხვა.	პროექტს გავლენა არ აქვს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე კანონს შესაძლოა ფინანსური გავლენა ჰქონდეს იმ პირებზე, ვისაც შეეხება კანონის მოთხოვნები, ამ ეტაპზე ფინანსური ზეგავლენის დეტალური განსაზღვრა შეუძლებელია	
33.	**„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	საჰაერო კოდექსის მოქმედი რედაქცია, (V თავი) რომელიც შეეხება საავიაციო პერსონალს არასრულყოფილია და არ შეესაბამება საავიაციო პერსონალის მომზადების, სერტიფიცირებისა და ზედამხედვლობის თანამედროვე მოთხოვნებს. ამასთან, კოდექსი არ ახდენს საავიაციო სფეროში დასაქმებული ავიასპეციალისტების მკაფიო გამიჯვნას, რაც აუცილებელია მათთვის დიფერენცირებული მოთხოვნების დადგენის თვალსაზრისით. საჰაერო კოდექსის V თავი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ განისაზღვრება საავიაციო პერსონალის ცნება, კლასიფიკაცია, ძირითადი	პროექტს გავლენა არ აქვს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე კანონს შესაძლოა ფინანსური გავლენა ჰქონდეს იმ პირებზე, ვისაც შეეხება კანონის მოთხოვნები,	„ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმება“ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014 წლის 26 ნოემბრის 1321/2014

		მოთხოვნები საავიაციო პერსონალის მომზადების, სერტიფიცირების, მოწმობის გაცემისა და პესონალის საქმიანობაზე ზედამხედველობის მიმართულებით. საჰაერო ხომალდების ვარგისობის დადგენას და ვარგისობის შენარჩუნებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. ევროკავშირის 1321/2014 რეგულაციის პირველი ნაწილით (Part M Subpart G GAMO) დადგენილია მოთხოვნა, რომ საჰაერო ხომალდების ვარგისობის შეფასება და ვარგისობის შენარჩუნების უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს საწარმომ, რომლის სერტიფიცირებასაც მოახდენს საავიაციო ხელისუფლება. საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების პროექტით განისაზღვრება საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობის შენარჩუნების საწარმოს ცნება, საწარმოს ფუნქციები და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილებები საწარმოს სერტიფიცირებისა და ზედამხედველობათან დაკავშირებით.	ამ ეტაპზე ფინანსური ზეგავლენის დეტალური განსაზღვრა შეუძლებელია	რეგულაცია საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების მოთხოვნების შესახებ.
34.	**„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტი გულისხმობს სტარტაპების ალტერნატიული დაფინანსების ახალი მექანიზმის - სახალხო დაფინანსების (Crowdfunding) ინსტიტუტის შემოღებას. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: 1. დაფინანსებაზე სტარტაპების წვდომის ხელშეწყობა მსოფლიოში აპრობირებული და პროგრესირებადი მეთოდით. 2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.	ფინანსურ სახსრებთან არ არის დაკავშირებული	
35.	**„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და**	კანონპროექტი ითვალისწინებს ერთი მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაბა გრიგოლეთის ტერიტორიაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიასა და ფოთში სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის განსხვავებული განაკვეთით დაბეგვრას, ხოლო მეორე მხრივ, დაბა გრიგოლეთში, დაბა ურეკსა და ფოთში სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებას ახლად აშენებული არანაკლებ ოთხმოცნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის შემთხვევაში, ახლად აშენებული სასტუმროების ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის ნებართვის	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.	

	სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“	გაცემიდან 10 წლის განმავლობაში. კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაბა გრიგოლეთში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკსა და ქალაქ ფოთში აზარტული თამაშების ბაზრის სიმწირის გამოსწორებას. ამასთანავე „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის შემცირებით/ გათავისუფლებით მოგვარდება დასახელებულ ლოკაციებზე ადგილობრივი დასაქმების პრობლემა. გარდა ამისა, კანონპროექტი მიზნად ისახავს სასტუმრო ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული დამატებითი სერვისების (ისეთები როგორიც არის სამორინე) განვითარების ხელშეწყობას აღნიშნულ ტერიტორიებზე, როგორც ახალ აშენებული სასტუმროს, ასევე უკვე არსებული სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღების შემთხვევაში. ამასთანავე, კანონპროექტის მიღება აუცილებელია აღნიშნულ რეგიონებში ტურისტული პოტენციალის გაზრდის, ამ გზით საერთაშორისო ვალუტის შემოდინებისა და შესაბამისად ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესის შენელებისათვის.		
36.	**„ენერგო ეტიკეტირების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	საქართველოს ბაზარზე განთავსებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების აუცილებლობა არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით. კანონპროექტის მიღება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველო გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრი ქვეყანა და სავალდებულო გახდა ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის მითითების თაობაზე N2010/30/EU დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ აუცილებელი გახდება საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების და ასეთი პროდუქტის ენერგო	კანონპროექტის მიღებისათვის დამატებითი ფინანსური თანხები არაა საჭირო.	„ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ XXV დანართის ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ჩანაწერი; ასევე „ენერგეტიკული გაერთიანების“

		მოხმარების მაჩვენებლების შესახებ პროდუქტზე სტანდარტული ინფორმაციის მითითება, რაც საშუალებას მისცემ საბოლოო მომხმარებელს, მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გააკეთოს სასურველი არჩევანი.		დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმი.
37.	**„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) არსებული რედაქციის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებული ფუნქციები გადანაწილებულია ორ ადმინისტრაციულ ორგანოზე. კერძოდ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მართვას და განკარგვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვას - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი (შემდგომ - კანონპროექტი) მიზნად ისახავს სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ერთი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის ქვეშ მოქცევას. ამ მიზეზით, კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რეორგანიზებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან მიერთების გზით, სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განსაზღვრას და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას. კანონპროექტის თანახმად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო განახორციელებს კანონის არსებული რედაქციით სსიპ -	პროექტის მიღება დაკავშირებული არ არის რაიმე სახის ფინანსურ ხარჯებთან ან/და საბიუჯეტო დანახარჯებთან.	

		საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ ფუნქციებს. გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის მომზადება განპირობებულ იქნა სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული რიგი საკითხების კანონით უფრო დეტალური რეგულირების სჭიროებით, რაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პრაქტიკიდან (მათ შორის, სასამართლო პრაქტიკიდან) გამომდინარე. კერძოდ, არსებული რედაქციით კანონი: - ითვალისწინებს მოძველებულ ტერმინებს და ტერმინთა განმარტების ნაწილი შესაბამისობაშია მოსაყვანი კანონმდებლობასთან. - არ ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების პირვატიზებისას, სარგებლობაში ან მართვის უფლებით გადაცემისას საქართველოს მთავრობის განკარგულების აღსრულების ვადის განმავლობაში შესაბამისი ხელშეკრულების გაუფორმებლობის სამართლებრივ შედეგებს, რაც ბუდნოვანებას წარმოშობს პრაქტიკაში. - მკაფიოდ არ განსაზღვრავს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების განკარგვის შემთხვევაში აუქციონის შედგების გაუქმების წინპირობებს. - არ ითვალისწიწინებს სახელმწიფო ქონების ტოლფასი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაზე სახელმწიფო ქონების პრივატიზებისათვის დადგენილი რეგულაციების გავრცელებას, რაც პრაქტიკაში პრობლემებს წარმოშობს. - არაერთგვაროვნად არეგულირებს სახელმწიფო ქონების აუქციონის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შემთხვევაში, საინვესტიციო ვალდებულების არსებობისას, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადას.		
38.	**„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **„ლიცენზიებისა და**	ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების ოქმი და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკაშირის მოთხოვნებთან, რომელთა მიზანია ენერგეტიკის სფეროში კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება. აღნიშნულ დოკუმენტებში პირდაპირ არის მითითებული ევროკავშირის	აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს ფინანსური სახსრების	წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ევროკავშირის შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტების

	ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	ის დირექტივები და რეგულაციები რომელთა იმპლემენტაციის ვალდებულება ეკისრება საქართველოს. დღეს მოქმედი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა შეიცვალოს ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, კანონის ჩანაცვლება მხოლოდ კანონით არის შესაძლებელი. კანონპროექტი, ევროკავშირის სამართლებრივი დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს: - საქართველოში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზით ვაჭრობის სფეროში თავისუფალი და კონკურენტული ურთიერთობების ხელშეწყობასა და ბაზრების გახსნას, მიწოდების უსაფრთხოების მოთხოვნათა სათანადოდ დაცვის გათვალისწინებით; - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლებამოსილების გაზრდას, რომელზეც ქსელის წესების გარდა (რაც დღესაც მისი ფუნქციაა) დელეგირდება ბაზრის წესებისა და გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმების დამტკიცების უფლებამოსილება; - გადამცემი ან გამანაწილებელი საქმიანობის გამიჯვნას წარმოებისა და მიწოდების საქმიანობისაგან, რისთვისაც უნდა მოხდეს საქართველოში არსებული გადაცემის და განაწილების ლიცენზიატი კომპანიების რეორგანიზაცია. გადაცემის ლიცენზიატებისთვის შემოთავაზებულია გამიჯვნის ორი მოდელი - 1. გადამცემი სისტემის ოპერატორი და 2. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი. პირველ შემთხვევაში სისტემის ოპერატორი ამავე დროს წარმოადგენს სისტემაში შემავალი მთელი გადამცემი ქსელის მესაკუთრეს და მართავს მას, მეორე შემთხვევაში - სისტემის ოპერატორი თვითონ არ არის მესაკუთრე მაგრამ გადამცემი სისტემის მესაკუთრეები ვალდებული არიან ითანამშრომლონ მასთან გადასცენ ფლობაში მათი კუთვნილი ქსელი, სისტემის მართვა, ინვესტიციების დაგეგმვა წარმოადგენს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის ფუნქციას. არსებული ლიცენზიატების მიერ გამიჯვნის შესაბამისი მოდელის შერჩევისა და მისი განხორციელებისათვის კანონპროექტი ითვალისწინებს შესაბამის ვადას. გამიჯვნის დადასტურება უნდა განხორციელდეს კომისიის მიერ სათანადო	აუცილებლობას	მოთხოვნათა იმპლემენტაციას: ა) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და 2003/54/EC დირექტივის გაუქმების შესახებ; ბ) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის N714/2009 (EC) რეგულაცია ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების პირობებისა და 1228/2003 (EC) რეგულაციის გაუქმების შესახებ; გ) 2006 წლის 18 იანვრის 2005/89/EC დირექტივა ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ; დ) 2009 წლის 13

		სერტიფიცირების გზით რომლის შემდეგაც გაიცემა ერთი გადაცემის ლიცენზია მხოლოდ ოპერატორზე (ნაცვლად დღეს არსებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიისა და სამი გადაცემის ლიცენზიისა); - საქართველოს მთავრობის მიერ ბაზრის კონცეფციის მოდელის დამტკიცებას, რომლის მიერ განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით მოხდება შესაბამისი ბაზრის ოპერატორების ლიცენზირება და ბაზრის წესების დამტკიცება კომისიის მიერ. იგივე კონცეფცია გაითვალისწინებს ბაზრის გახსნის ეტაპებს რათა მაქსიმალურად მოქნილი იყოს თავისუფალ ბაზარზე გადასვლის პროცესი და მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული საწყის ეტაპზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენები. - ბაზარზე ტრეიდერის და მიმწოდებლის სტატუსების შექმნას. ტრეიდერი იქნება პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება ბაზარზე ენერგიის გადაყიდვაზე, ხოლო მიმწოდებელი პირი, რომელიც საბოლოო მომხმარებელს მიაწვდის ენერგიას. გადაცემის და განაწილების ლიცენზიატები უზრუნველყოფენ ელექტროენერგიის ფიზიკურ მიწოდებას მომხმარებლამდე, რის საფასურსაც მიიღებენ კომისიის მიერ დამტკიცებული ტარიფიდან ხოლო ელექტროენერგიის მოცულობების ყიდვა და მომხმარებლისთვის მიყიდვა იქნება მიმწოდებლის ფუნქცია; - საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ბაზრის შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესარბილებლად საქართველოს მთავრობისთვის უფლებამოსილების მინიჭებას, განსაზღვროს დროებით უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც მომხმარებელთა შესაბამის კატეგორიას უზრუნველყოფს ენერგიის მიწოდებით სანამ ისინი თავისუფალ ბაზარზე შეძლებენ მიმწოდებლის არჩევას. ასევე შემოდის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის ცნება, რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს მიწოდების მომსახურებით, თუ იგი მიმწოდებლის გაუქმების ან სხვა გარემოებების გამო დარჩება მიმწოდებლის გარეშე; - კვალიფიციური მომხმარებლის სტატუსის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობას. ამასთან, საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, ბაზრის გახსნის შესაბამისი ეტაპის უზრუნველსაყოფად განსაზღვროს ის კრიტერიუმები (ასევე მათი ამოქმედების ვადები), რომლებთან შესატყვისი მომხმარებლებიც სავალდებულოდ უნდა იყვნენ კვალიფიციური მომხმარებლები.		ივლისის 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და 2003/55/EC დირექტივის გაუქმების შესახებ; ე) 2009 წლის 13 ივლისის N 715/2009 (EC) რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელზე დაშვების პირობებისა და N1775/2005 (EC) რეგულაციის გაუქმების შესახებ; და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2004 წლის 26 აპრილის 2004/67/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

		კანონპროექტით ასევე შემოდის გაზსაცავის და გათხევადებული ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის ოპერირებასთან დაკავშირებული რეგულაციები.		
		„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი გამომდინარეობს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან, რომელიც ითვალისწინებს ახალ ლიცენზიებს, აუქმებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიას და ტოვებს მხოლოდ გადაცემის ლიცენზიას, როგორც ელექტროენერგეტიკის ისე ბუნებრივი გაზის სექტორში. ასევე განსაზღვრავს ელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემისას გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს. ლიცენზიების და ნებართვების ჩამონათვალი კანონით განისაზღვრება. შესაბამისად, ლიცენზიის სახეობის გაუქმება ან ახალი ლიცენზიების შემოღება კანონით უნდა მოხდეს. კანონპროექტი ითვალისწინებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიის გაუქმებას, ვინაიდან „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ცნობს მხოლოდ გადაცემის ლიცენზიას, რომელიც გაიცემა მხოლოდ გადამცემი სისტემის ოპერატორზე. ასევე ხსენებული კანონპროექტების მოთხოვნებიდან გამომდინარე კანონპროექტით შემოდის: - ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირების ლიცენზია; - ბუნებრივი გაზის გადაცემის ლიცენზია; - ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირების ლიცენზია; - ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირების ლიცენზია.	აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს ფინანსური სახსრების აუცილებლობას	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და 2003/54/EC დირექტივის გაუქმების შესახებ;
		„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი გამომდინარეობს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან, რომელიც ითვალისწინებს გაზის გადაცემის საქმიანობის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისგან (რაც ხორციელდება საბადოდან გადამამუშავებელ ქარხნამდე ან ქსელში მიწოდების საბოლოო პუნქტამდე) გამიჯვნას, ასევე სატრანსპორტო საშუალებაზე მესამე	აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს ფინანსური სახსრების აუცილებლობას	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13

		პირების დაშვების უზრუნველყოფას არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პროცედურებით. ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საკითხები განისაზღვრება კანონით და გაზის გადაცემის საქმიანობის გამიჯვნისთვის ცვლილებებიც კანონით უნდა მოხდეს. კანონპროექტი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების განმარტების დაზუსტებას, როგორსაც წარმოადგენს ნავთობის და გაზის ოპერაციების წარმოების, ან ქარხანაში, ან რეზერვუარში, ან გადაზიდვის უკანასკნელ პუნქტში გადაცემისთვის გამოყენებული ან/და აშენებული მილსადენი ან მილსადენების ქსელი და რომელზე მესამე მხარის დაშვება უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანონით აღიარებული არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პროცედურებით. აღნიშნულთან დაკავშირებით კანონს ემატება შესაბამისი დებულებები და 2512 მუხლი, რომლითაც ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ევალება სათანადო ზომების გატარება. კანონპროექტით ასევე განისაზღვრება ის შემთხვევები რაც შეიძლება იყოს მესამე მხარის დაშვებაზე უარის თქმის საფუძველი. ----------		ივლისის 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და 2003/55/EC დირექტივის გაუქმების შესახებ;
		„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის საჭიროება გამომდინარეობს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით და მასში ცვლილებებიც კანონით უნდა მოხდეს. კანონპროექტი ითვალისწინებს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის პრინციპებში შემდეგი კრიტერიუმების დამატებას: - ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი გამიჯვნა და ფუნქციური დამოუკიდებლობა ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისა თუ კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან; - ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრის და აპარატში	---------- აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს ფინანსური სახსრების აუცილებლობას	---------- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და 2003/54/EC დირექტივის გაუქმების შესახებ;

		დასაქმებულის დამოუკიდებლობა ნებისმიერი საჯარო ან კომერციული ინტერესის, მათ შორის სამთავრებო ან სხვა საჯარო დაწესებულებისა, თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის ზეგავლენისგან, შესაბამის რეგულირებულ სექტორებში მარეგულირებელი უფლებამოსილების განხორციელებისას; - ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და პირობებით თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის, ნებისმიერი პოლიტიკური ორგანოსგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების, საკუთარი განცალკევებული წლიური ბიუჯეტის ქონის და მისი დამოუკიდებლად განხორციელების, საკუთარი ადექვატური ადამიანური და ფინანსური რესურსების ქონის უფლება. კანონპროექტი ასევე აზუსტებს კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებს.		
39.	**„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონმდებლობით დასარეგულირებელია საკითხი - მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების მიზნით მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებით. მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს გააჩნიათ შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია. ცნობილია, რომ ამ მიზნით გამოიყენება როგორც ზედაპირული წყლები (ამ ტიპის წყლით სარგებლობა ლიცენზიას არ საჭიროებს), ასევე მიწისქვეშა მტკნარი წყლები, რომელთა სარგებლობისთვისაც კანონმდებლობა ითვალისწინებს ლიცენზიის არსებობას. სარგებლობის ლიცენზიის მიღების აუქციონის წესი აბრკოლებს და საფრთხეს უქმნის საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის ლიცენზიის მიღების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული კონკურენციის რისკი, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მაღალია და არსებობს საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი კომპანიებისათვის წყლით სარგებლობის ლიცენზიის მიღების დაბრკოლების ალბათობა. არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში, შესაძლებელია აუქციონის ფასი გაიზარდოს არაადეკვატურად და საბოლოოდ დასრულდეს უშედეგოდ, ან/და სხვა კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეექმნას მისგან წყლის სასყიდლიანი	პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. მისი ამოქმედება არ საჭიროებს დამატებითი სახსრების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		მიღების აუცილებლობა, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება მომხმარებელთა ინტერესებზე, გამოიწვევს წყალმომარაგების შეფერხებას, წყლის ღირებულების გაზრდას და ა.შ. შესაბამისად, მიზანშეწონილია ასეთი საქმიანობის ლიცენზიის მფლობელებისათვის არსებობდეს ლიცენზიის აუქციონის გარეშე მოპოვების შესაძლებლობა, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსახლეობის წყალმომარაგების შეფერხება. გარდა ამისა, საჭიროა კანონმდებლობით არსებობდეს შესაძლებლობა სუბიექტის მიერ ლიცენზიის მიღების პირდაპირი წესით მიღებისათვის იმ შემთხვევაში, როცა საუბარია მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის და ამ მიზნით საჭიროა კანონს დაემატოს მე-17[2] მუხლი. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არსებობს კერძო პირის დაინტერესება მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვებაზე. ამ სუბიექტებს, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, ლიცენზიის მოპოვებისათვის უწევთ აუქციონში მონაწილეობა. აუქციონის პრინციპი ართულებს მეწარმეებისათვის მტკნარი წყლის მოპოვების შესაძლებლობას და ქმნის ბარიერს სამეწარმეო საქმიანობისათვის. აუქციონი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოშობს კონკურენციის რისკს ობიექტთან დაკავშირებით. არსებობს შესაძლებლობა და ალბათობა აუქციონში გაიმარჯვოს სხვა სუბიექტმა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა მესაკუთრეს გააჩნდეს უარყოფითი პოზიცია მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე წყლით სარგებლობის უფლების სხვისთვის მინიჭებასთან დაკავშირებით, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც თვითონ გააჩნია აღნიშნული ლიცენზიის ფლობის ინტერესი. ეს პროცედურები წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას როგორც მესაკუთრისათვის, ასევე აუქციონში პოტენციური გამარჯვებულისათვის, რაც აფერხებს როგორც ლიცენზირების პროცესს, ისე სამეწარმეო საქმიანობას და საბოლოოდ უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონმდებლობით არსებობდეს შესაძლებლობა კერძო მესაკუთრის დაინტერესების შემთხვევაში, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაიცეს		

		ლიცენზია პირდაპირი წესით - აუქციონის გარეშე. კანონპროექტით გათვალისწინებულია ცვლილების განხორციელება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-9 პუნქტში. პუნქტის მოქმედი რედაქცია ავალდებულებს ლიცენზიის გამცემს აუქციონის ჩატარების მიზნით საჭირო ინფორმაცია გამოაქვეყნოს ცენტრალურ პრესაში. ამ მიზნებისათვის ყოველწლიურად საჭიროა დაახლოებით 100 000 ლარის ოდენობის ხარჯის გაწევა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან აუქციონის ჩასატარებლად ლიცენზიის გამცემის მიერ გამოყენებულია ელექტრონული ფორმა. ლიცენზიის მაძიებელს აუქციონში მონაწილეობისათვის უწევს ელექტრონულად დარეგისტრირება შესაბამის ვებგვერდზე და სრული აუქციონის პროცესის ელექტრონულ ფორმატში ჩართულობა. რაც ნიშნავს, რომ ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული პირი, ნებისმიერ შემთხვევაში სარგებლობს ვებ გვერდზე ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებული ინფორმაციით. შემდეგ ამავე ვებგვერდზე რეგისტრაციისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს აუქციონში. როგორც აღნიშნულიდან გამომდინარეობს, არ არსებობს აუქციონის თაობაზე ინფორმაციის ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნების საჭიროება. წარმოდგენილი ცვლილება არ შეაფერხებს ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულ პირთა წრისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და დაზოგავს ადმინისტრაციული ორგანოს ხარჯებს, რაც შესაძლოა გამოყენებული იქნას სხვა უფრო მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად. წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილება. ნორმის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს ლიცენზიის გამცემის ვალდებულებას ლიცენზიის მთლიანად ან ნაწილის გადაცემით დაინტერესების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან 3 დღის ვადაში შეიტანოს ცვლილება ლიცენზიაში და გასცეს ახალი სალიცენზიო მოწმობა. სამდღიანი ვადა არ არის საკმარისი, ვინაიდან რეესტრში ცვლილების განხორციელებამდე საჭიროა		

		გადამოწმებულ იქნეს ლიცენზიასთან დაკავშირებული მონაცემები (დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემების თავსებადობა მის მიერვე წინა პერიოდში წარმოდგენილი წლიური ანგარიშგების მონაცემებთან. პრაქტიკაში არსებულმა შემთხვევებმა ცალსახად აჩვენა, რომ ლიცენზიის გადაცემისას აუცილებელი ინფორმაციის სრულყოფილად გადამოწმების მიზნით საჭიროა კანონმდებლობით დადგენილი ვადის გაზრდა. წარმოდგენილი ცვლილებით განსაზღვრული ვადა შეადგენს 10 დღეს, რაც საკმარისი იქნება ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მოამზადოს ადმინისტრაციული აქტის პროექტი და სალიცენზიო მოწმობა.		
40.	**„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	მოქმედი კანონმდებლობით დარეგულირებულია საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი სალიცენზიო ფართობი ექცევა კერძო საკუთრებაში, ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს მესაკუთრის თანხმობა ლიცენზიის გაცემის თაობაზე. აღნიშნული რეგულაციით ხდება მესაკუთრის სავალდებულო წესით ინფორმირება თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ლიცენზიის შესაძლო გაცემის თაობაზე და ამავდროულად გარკვეულწილად უზრუნველყოფილია მისი მხრიდან უარყოფითი პოზიციის გამოხატვის თავიდან აცილება ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას. კონკრეტულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის მოპოვების მიზნით აუქციონის გამოცხადებამდე, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს, ტერიტორია ხვდება თუ არა კერძო საკუთრებაში. მნიშვნელოვანია, რომ ლიცენზიის გამცემი ორგანო ხელმძღვანელობს რეესტრის მონაცემებით, რომელიც ასახავს საკუთრების თაობაზე არსებულ, კანონმდებლობით დადგენილი წესით დარეგისტრირებულ ინფორმაციას. რეესტრის მონაცემები შემოიფარგლება ამ ორგანოსთვის რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი ინფორმაციით. ლიცენზიის გამცემის მიერ მოძიებული მონაცემების შესაბამისად, აუცილებელი	პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. მისი ამოქმედება არ საჭიროებს დამატებითი სახსრების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		წესით ხდება ტერიტორიის კერძო საკუთრებაში არსებობისას მისი მესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა. გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა აუქციონის გამოცხადების მომენტში ფართობი არ ხვდება კერძო საკუთრებაში, თუმცა შემდგომ ხდება მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში მესაკუთრის მიერ ძირითადად ხდება უარყოფითი პოზიციის გამოხატვა სალიცენზიო საქმიანობის განხორციელების მიმართ, რითაც საბოლოოდ ხელი ეშლება სალიცენზიო საქმიანობის განმახორციელებელ პირს და ფერხდება მისთვის სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლების რეალიზების პროცესი. ხსენებულ შემთხვევაში ლიცენზიანტებს აღარ ეძლევათ შესაძლებლობა, თავისუფლად აწარმოონ მოპოვებითი სამუშაოები, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება რესურსის რაციონალურ გამოყენებაზე. სწორედ იმის გამო, რომ თავიდან იქნეს აცილებული მესაკუთრის მხრიდან სალიცენზიო საქმიანობის შეფერხება, მას უნდა გააჩნდეს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება, მიიღოს კომპენსაცია იმისთვის, რაც შესაძლოა ხელს უშლიდეს თავისსავე მიწის ნაკვეთის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენებაში. კანონმდებლობით უნდა არსებობდეს რეგულაციის მექანიზმი, რომელიც მოაწესრიგებს მესაკუთრესა და ლიცენზიის მფლობელის ურთიერთობებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს იმ შემთხვევისათვის, თუ წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შემდგომ სალიცენზიო ფართობი დარეგისტრირებულ იქნა კერძო საკუთრებაში, ხოლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება პირს წარმოეშვა ლიცენზიის გაცემამდე. ამ შემთხვევაში კანონპროექტი განსაზღვრავს ლიცენზიის მფლობელის მიერ მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას იმის სანაცვლოდ, რომ მესაკუთრის მხრიდან არ მოხდეს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ხელშეშლა. კანონით საჭიროა ასევე დარეგულირდეს საკითხი „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ		

		გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცების თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე'' საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით,'' დღესდღეობით სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო თავისი ფასიანი მომსახურების გაწევისთვის სამართლებრივ საფუძვლად იყენებს „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს N502 დადგენილებას. გამომდინარე იქედან, რომ გამიჯნულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებები, აუცილებელია მათ მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებების ჩამონათვალიც არსებობდეს ორი დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტის ფორმით. მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე იყოს მოწესრიგებული საკითხი სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებების სახეებისა და საფასურის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს დათქმას, რომლის თანახმადაც ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღება.		
41.	**„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს**	ნავთობისა და გაზის მრეწველობა არის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს სოციალურ სფეროზე, ამიტომ აღნიშნული დარგის განვითარებაარის ქვეყნის სტრატეგიული	კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან	წარმოდგენილი კანონპროექტი გამომდინარეობს

	კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	მნიშვნელობის ამოცანა. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ იკისრა ვალდებულება მოახდინოს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციების თუ დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა და მათი იმპლემენტაცია. შესაბამისად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ენერგეტიკის სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული დებულებების იმპლემენტაციის მიზნით, საჭიროა ცვლილებების განხორციელება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში და მასში ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 94/22/ (EC) რეგულაციის მოთხოვნის ასახვა, რომელიც ეხება ნავთობმრეწველობის (ძებნა-ძიება, მოპოვება, გადამუშავება და შენახვა) განვითარებას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება ენერგეტიკის სფეროში გულისხმობსქვეყნის ენერგეტიკული ბაზრის განვითარებას და სტაბილურობას, ამისთვის კი საჭიროა სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება და გრძელვადიანი სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დირექტივის თანახმად, ქვეყნებმა, რომლებიც დამოკიდებულები არიან ნახშირწყალბადების იმპორტზე, უნდა უზრუნველყონ მაქსიმალურად ლიბერალური და არადისკრიმინაციული ნორმების დადგენა, უნდა გაიხსნას ბაზარი და შეიქმნას თანაბარი საკანონმდებლო ბაზა ბუნებრივი გაზის შენახვასთან დაკავშირებით. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია, რომ კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, რაც აგრეთვე მოიცავს დარგში დასაქმებული სუბიექტების კანონიერი ინტერესების დაცვისა და არსებული რეალობის საკანონმდებლო წესით დარეგულირებას. კანონპროექტი მიზნად ისახავს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ნათლად აისახოს და გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფო სააგენტოს მიერ მესამე პირის ბუნებრივი გაზის შენახვის	დამატებითი სახსრების გამოყოფას, არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს. კანონპროექტის მიღებით გაიზრდება ინვესტიციები ნავთობმრეწველობის სექტორში, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და შესაბამისადგაზრდის შემოსავალს სახელმწიფოს	ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 94/22/ (EC) რეგულაციის მოთხოვნებიდან.

		და ამ მიზნით მოწყობილი ბუნებრივი გაზის საცავის ოპერირების რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები, აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს უფლებამოსილებების დაზუსტება და განსაზღვრა. აღნიშნული კანონპროექტის მიზანია ხელი შეუწყოს და დაარეგულიროს საქართველოში ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარება საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რაც შესაძლებელს გახდის თანამედროვე და ევროპული სტანდარტებით აღჭურვილი ბუნებრივი გაზის საცავის მშენებლობის ხელშეწყობას და ადგილობრივი კადრების დასაქმებას. ამავდროულად, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ეფექტურად განხორციელდეს ბუნებრივი გაზის საცავის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება, ზედამხედველობა და მონიტორინგი, რომლის განხორციელებისათვის საჭიროა სააგენტოს ინსტიტუციური განძლიერება. კანონპროექტის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს „ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენებისპირობების შესახებ 94/22/EC" დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს შესაძლებლობას გამონაკლის შემთხვევებში გასცეს უფლება სალიცენზიო ფართობზე ტენდერის პროცედურის გარეშე. კანონპროექტის მიღების მიზანია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე გაზის გადაცემის საქმიანობის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისგან გამიჯვნა და არამაგისტრალურ ქსელში მესამე პირების დაშვების ნორმების განსაზღვრა. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილები დადებითად აისახება ბუნებრივი გაზის საცავთან დაკავშირებული დარგის განვითარებაში, ვინაიდან კანონპროექტის მიღებით აღმოიფხვრება ბუნებრივი გაზის შენახვის და ტრანსპორტირების განხორციელების პროცესში არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ხასიათის ხარვეზები და დადგინდება	ბიუჯეტის სასარგებლოდ.	

		ახალი ნორმატიული ბაზა, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და ნორმებთან და თავისთავად ხელს შეუწყობს აღნიშნულ სფეროში ინვესტიციების მოზიდვას და დარგის განვითარებას.		
42.	**„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	პროექტის მიზანია ევროკავშირის დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაცია და მათთან ჰარმონიზაცია. კანონპროექტი განსაზღვრავს ევროპული რეგულაციების შესაბამისად ახალი მარეგულირებელი ზომების უზრუნველყოფისათვის საჯარო საკონსულტაციო პროცედურების დანერგვის საკითხებს; ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ex ante (წინასწარ) რეგულაციას დაქვემდებარებული შესაბამისი პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრის და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის მიზნით ბაზრების ანალიზის და სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების საკითხებს; ავტორიზაციისა და ლიცენზირების საკითხებს; ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებში პირადი ცხოვრების კონფიდენციალობის და პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს, რადიოსიხშირული სპექტრის ჰარმონიზებულ ხელმისაწვდომობისა და ეფექტიან გამოყენების საკითხებს და სხვა.	კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს.	პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის ა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა (2002/58/EC); ავტორიზაციის შესახებ დირექტივა (2002/20/EC); დაშვების შესახებ დირექტივა(2002/19/EC) ჩარჩო დირექტივა (2002/21/EC)
43.	**„ფოსტის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“**	„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია დავალების შესრულება, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის - მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) წევრობით და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) საქართველოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ფოსტის სფეროში ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან (1997 წლის 15 დეკემბრის N97/67/EC დირექტივა ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ“; „2002 წლის 10 ივნისის N2002/39/EC	კანონპროექტით გათვალისწინებულია დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის მის მიერ უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელებისას წარმოშობილ ხარჯებსა და საკონტრიბუციო	საქართველოს AA/DCFTA ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის განსახორციელებლად: N97/67/EC(1997) ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა

	საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვის“ და „2008 წლის 20 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს N2008/6/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობას“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა. კანონის პროექტი „ფოსტის შესახებ“ ადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფოსტის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს; ფოსტის სფეროში საქმიანობისას პირთა თანასწორუფლებიანობას; მომხმარებელთა უფლებების დაცვას; უნივერსალური საფოსტო მომსახურების ეფექტური და მდგრადი მიწოდების უზრუნველყოფას, მისი საყოველთაოობის, საიმედოობის, თანაბარი წვდომის, არადისკრიმინაციულობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; საფოსტო მომსახურების გაწევისას და საფოსტო ქსელის ორგანიზებისას საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას; ქვეყნის ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილების ტრანზიტულად გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად; საფოსტო ქსელის მეშვეობით გაცვლილი მონაცემების და გზავნილის უსაფრთხოების და კონფიდენციალობის დაცვას; საფოსტო საშუალებებისა და მომსახურების მართვას საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს; საფოსტო საგადახდო ნიშნების გამოცემის რეგულირებას; მეწარმეობის, კონკურენციის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის და ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობას და სხვა. --- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** კანონის პროექტის მომზადება განპირობებულია „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე. „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით დაუშვებელია ფოსტის სფეროში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და	შენატანების ჯამურ ოდენობას შორის სხვაობის ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. --- კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს	ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ და მისი ცვლილებები - დირექტივა N2002/39/EC(2002) - ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვი; დირექტივა N2008/6/EC(2008), რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობა.

		საფოსტო ოპერატორის მიერ უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას მიკუთვნებული მომსახურების განხორციელება კომისიისთვის შეტყობინების გარეშე. ზემოაღნიშნული დებულებების აღსრულება შეუძლებელია, რადგან შესაბამისი კანონი არ განსაზღვრავს ქმედებების დასჯადობას. კანონპროექტში განისაზღვრება ფოსტის სფეროში კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პასუხისმგებლობის სახეები და ზომები. ---------- **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფერო და კომისიის სამართლებრივი სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ კომისია არეგულირებს დანიშნულ საფოსტო ოპერატორს და შესაბამისად ზოგადად ფოსტის სფეროს მაქსიმალურად დაურეგულირებლად ტოვებს, აუცილებელია „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში მიეთითოს, რომ კომისიის რეგულირების სფეროს განეკუთვნება ფოსტის სფერო. ამასთანავე, მიზანშეწონილია მითითება გაკეთდეს, რომ კომისიის სამართლებრივი სტატუსი ასევე განისაზღვრება „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროს დაემატა „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფოსტის სფერო და განისაზღვრება კომისიისთვის დამატებით მინიჭებული სამართლებრივი სტატუსი. ---------- **„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში აკრძალულ საქმიანობას დაემატება „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქმიანობა.	---------- ---კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს ---------- კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს	

		---------- **„რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** კომისია „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით დაარეგულირებს დანიშნულ საფოსტო ოპერატორს. ხოლო, საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს ფოსტის სფეროში დანიშნული საფოსტო ოპერატორის რეგულირების საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს. „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში განისაზღვრება დანიშნული საფოსტო ოპერატორის რეგულირების საფასურთან დაკავშირებული საკითხები.	---------- კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს	
		---------- **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრება უნივერსალური საფოსტო მომსახურება, რომელიც გულისხმობს დადგენილი ხარისხის საფოსტო მომსახურებას, რომელიც დანიშნული საფოსტო ოპერატორის მიერ მუდმივად ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა მომხმარებლის ხელმისაწვდომ ფასად. „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის დადგენილი პირობები ქმნის საჭიროებას, საფოსტო მომსახურების ეს კატეგორია ამორიცხული იქნას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება გარკვეული სახის სახელმწიფო შესყიდვებზე. მათ შორის არ გავრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დანიშნული საფოსტო ოპერატორისაგან უნივერსალური საფოსტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე	---------- კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს	

		---------- **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“** კანონის პროექტის მომზადება განპირობებულია „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე. „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით დაუშვებელია ყალბი საფოსტო საგადახდო ნიშნების დამზადება ან/და გაყიდვა, ასევე საფოსტო ოპერატორის მიერ საფოსტო გზავნილით აკრძალული შიგთავსის გაგზავნა, მიღება ან/და ტრანზიტულად გატარება. ზემოაღნიშნული დებულებების აღსრულება შეუძლებელია, რადგან შესაბამისი კანონი არ განსაზღვრავს ქმედებების დასჯადობას. კანონპროექტში განისაზღვრება კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პასუხისმგებლობის სახეები და ზომები.	---------- კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს.	
44.	**„ელექტრონული კომერციის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) შუალედური სერვის ოპერატორების (ISP) უფლებებისა და ვალდებულებების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრის შესახებ აღებული ვალდებულებით; ამასთან, ინტერნეტ სივრცეში ელექტრონული კომერციის პროცესში მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ელექტრონული კომერციის სამართლებრივი საფუძვლების და რეგულირების პრინციპების განსაზღვრა ევროპის კავშირის ფარგლებში არსებულ კანონმდებლობის შესაბამისად. კანონპროექტის თანახმად, დარეგულირდება, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ამ მომსახურების გამწევი და მიმღები პირების პასუხისმგებლობა და ამ კანონის მიზნებისთვის ელექტრონული ხელშეკრულების დადების წესი და პირობები; განისაზღვრება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებების მიმწოდებლის, მიმღებისა და მომხმარებლის საქმიანობის პრინციპები, მათი უფლებები და პასუხისმგებლობები, შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა ინფორმაციის გატარების, ქეშირების და ჰოსტინგის დროს.	კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს.	ასოცირების შესახებ შეთანხმება თავი 6, ნაწილი 6 ასოცირების დღის წესრიგი 2.4 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები; დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია.

45.	**„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ"** (ახალი კანონპროექტი)	აღნიშნული კანონპროექტი ფარავს ენერგეტიკის სფეროს, კერძოდ კი, განახლებადი ენერგიების წილის გაზრდას გათბობა-გაგრილების, ელექტროენერგეტიკისა და ტრანსპორტის საბოლოო მოხმარებაში. კანონპროექტის მიზანია შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, დაადგინოს სავალდებულო ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის საერთო წილისთვის ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში, ასევე ტრანსპორტში ეს კანონპროექტი ადგენს მხარდაჭერის სქემებთან, საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებს შორის სტატისტიკური ტრანსფერთან, საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებთან, ასევე მესამე ქვეყნებთან განსახორციელებელ ერთობლივ პროექტებთან, წარმოშობის სერტიფიკატებთან, ადმინისტარციულ პროცედურებთან, საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ტრენინგებთან, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ელექტროენერგეტიკულ ქსელზე დაშვებასთან დაკავშირებულ ნორმებს. ეს კანონი ასევე ადგენს მდგრადობის კრიტერიუმებს ბიოსაწვავისა და ბიოსითხეებისთვის.	კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებით ხარჯების გაღებას საქართველოს ბიუჯეტიდან, არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. ასევე, არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.	2014 წლის 27 ივნისში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. . ასოცირების შესახებ შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებასთან ერთად ქმნის საქართველოს ევროკავშირთან გრძელვადიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრირების პროცესის საფუძველს. ამასთანავე ,, 2016 წლის 14 ოქტომბრიდან საქართველო ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებას ხელშემკვრელი მხარის სტატუსით შეურთდა. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების

				პირობების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციას,, რასაც განახლებადი ენერგიის განვითარებაზე პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ექნება. საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი, 2017 წლის 1 ივლისიდან, ევროკავშირის დირექტივების დებულებების შესრულებას და ენერეტიკული გაერთიანების კანონდებლობის (acquis communautaire) გაზიარებას გეგმავს აღნიშნული ორგანიზაციის სამუშაო პროგრამის თანახმად. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროპულ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების პროტოკოლის თანახმად,

				საქართველომ აიღო ვალდებულება ევროკომისიის 2009/28/EC „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღების წახალისების“ შესახებ დირექტივა ასახოს ეროვნულ კანონმდებლობაში და 2018 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“.
46.	**„ენერგოეფექტურობის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	წინამდებარე კანონპროექტის ძირითადი მიზანია, ქვეყნის ფარგლებში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და ენერგეტიკული გაერთიანების მიერ დადგენილი მიზნის მიღწევის განხორციელებისთვის, საჭირო ღონისძიებების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა ენერგიის დაზოგვის, ენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისა და ენერგო-დამოუკიდებლობის ამაღლების მიზნით, აგრეთვე ენერგეტიკულ ბაზარზე ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების წინაშე არსებული დაბრკოლებების მოხსნა, ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შემუშავების პროცესის ჩამოყალიბება, ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემის ან/და ალტერნატიული პოლიტიკის ღონისძიებების განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს ენერგიის დანაზოგს, ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების კოორდინაციისა და განხორციელებისთვის ენერგოეფექტურობის განმახორციელებელი ორგანოსა და ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის მიღების პროცედურის ჩამოყალიბებას.	კანონპროექტის მიღება იწვევს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ, სსიპ-ის შექმნა, ადმინისტრაციულ შენობებში ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება, საინფორმაციო კამპანიების წარმოება. კანონპროექტის	საქართველოს ევროპულ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების პროტოკოლის თანახმად, საქართველო ვალდებულია ეროვნულ კანონმდებლობაში ასახოს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარეებისთვის ადაპტირებული „ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2012

			მიღება ასევე გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან წესდება ჯარიმები.	წლის 25 ოქტომბერის 2012/27/EU დირექტივა ენერგოეფექტურობის შესახებ“ და 2018 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაოს ენერგოეფექტურობის კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით ენერგოეფექტურობის ზრდას, ენერგიის დაზოგვის ხელშეწყობას ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზებით.
47.	**„ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვის ა და დერივატივების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია წარმოებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. ამჟამად, არ არსებობს წარმოებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობა. ფინანსური ბაზრების განვითარება იმავდროულად ქმნის ახალ, აქამდე არარსებულ რისკებს, რომელთანაც შეხება აქვთ როგორც ინვესტორებს, ასევე პოლიტიკის წარმმართველებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამგვარი რისკების სათანადო აღქმა, შეფასება და მართვა, რის საშუალებასაც დერივატიული ინსტრუმენტები იძლევა; საპროცენტო განაკვეთებს, სავალუტო კურსს, ნედლეულის და საკვების ფასებს, აქციებს, ყველას ახასიათებთ ფასების ცვალებადობა, რომელთა რისკების მართვისათვის აუცილებელია დერივატივების ბაზრის არსებობა. ამ ეტაპზე დერივატივების ბაზარი საქართველოში არ არის სათანადო დონეზე განვითარებული, თუმცა მისი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობები უკვე არსებობს. შესაბამისად ფინანსურ ბაზრებზე ასეთი	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას და კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	

		ინსტრუმენტის გამოყენების მიმართ მოთხოვნაც იზრდება. კანონპროექტი ითვალისწინებს ურთიერთგაქვითვის, ფინანსური გირავნობის და დერივატივის დადებისათვის აუცილებელი მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებული გარიგებებისთვის უფრო მეტი სამართლებრივი გარანტიის შეძენას და რეზიდენტებისთვის რისკების ჰეჯირების კომპლექსური მექანიზმების შეთავაზებას. წარმოებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს რისკების ადეკვატურ მართვას, საფინანსო სისტემის მდგრადობის ზრდას შოკების მიმართ და ლარიზაციის პროცესს.		
48.	**„საინვესტიციო ფონდების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	საინვესტიციო ფონდების განვითარება წარმოადგენს კაპიტალის ბაზრის რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტს. ამჟამად, არსებული კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ არ არის სრულყოფილი და არ ითვალისწინებს საინვესტიციო ფონდების შექმნის, ოპერირების და რეგულირების სხვადასხვა ასპექტს. ახალი კანონით მოხდება არსებული კანონის გაუქმება. კანონის პროექტი ადგენს რეგულირებადი და ალტერნატიული ფონდების სახეებს, ადმინისტრირების წესსა და მისი სახელმწიფო რეგულირების სისტემის საფუძვლებს, აგრეთვე აწესრიგებს ურთიერთობებს ამ სფეროში. საინვესტიციო ფონდების კანონი ემიტენტებს და ინვესტორებს მისცემს საშუალებას მიიღონ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საფინანსო მომსახურების სრული სპექტრი. საინვესტიციო ფონდების განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყანაში დაზოგვის კოლექტიური და ეფექტიანი მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის დივერსიფიკაციასა და გრძელვადიან საინვესტიციო რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდას.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას და კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	
49.	**„ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“**	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას, მიერთების ოქმით აღებული ვალდებულების თანახმად, საქართველომ არ უნდა გამოიყენოს საგარეო ვაჭრობაში დამცავი ზომები, მათ შორის ანტიდემპინგური ღონისძიებები, მანამდე, სანამ ქვეყანაში არ იქნება ვმო-ს მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა.	კანონპროექტის განხორციელება მოითხოვს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შექმნას.	

	(ახალი კანონპროექტი)	შესაბამისად, საგარეო ვაჭრობაში ანტიდემპინგური საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის პირობებში, შესაძლებელია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდეს უცხო ქვეყნებიდან პროდუქციის დემპინგური ფასებით იმპორტს, რის აღკვეთის ღონისძიებებსაც საქართველო საერთაშორისო ვლდებულების შესაბამისად ვერ მიმართავს. რიგ შემთხვევებში დემპინგური იმპორტი აფერხებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ამცირებს დასაქმებულთა რაოდენობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება დაიცავს ადგილობრივ წარმოებას დემპინგური იმპორტით გამოწვეული ზიანისაგან ან ამგვარი ზიანის მიყენების საფრთხისაგან და ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. კანონპროექტით განსაზღვრულია საგარეო ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებისა და გამოყენების, ასევე სპეციალური კვლევის განხორციელების ძირითად წესს და კვლევის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური იმპორტის პირობებში.	ასევე კანონპროექტი ითვალისწინებს დემპინგურ იმპორტზე წინასწარი და სპეციალურ ანტიდემპინგურ ტარიფის შემოღებას.. შესაბამისად კანონპროქტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხრჯვით და საშემოსავლო ნაწილზე.	

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

50.	**„თავდაცვის კოდექსი“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	თავდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა (თავდაცვის სფეროს ორგანიზება, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლა, სოციალური დაცვისა და სხვა თანმდევი საკითხები) დღეისათვის რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების უმრავლესობის მიღება/გამოცემა მოხდა 1997 წლიდან და შესაბამისად, ისინი ვეღარ პასუხობენ დღევანდელ რეალობასა და მოთხოვნებს. თავდაცვის სფეროში მოქმედებს ისეთი კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე მიზანშეწონილია რეგულირდებოდეს კანონის დონის მქონე სამართლებრივი აქტით. თავდაცვის კოდექსში გაერთიანდება თავდაცვის სფეროში მოქმედი როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები. კოდექსის პროექტში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სამხედრო სამსახურის გავლასთან, სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან და მისი სოციალური დაცვის გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, მოწესრიგდება სამხედრო განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. მკაფიოდ განისაზღვრება სამშვიდობო მისიებში მონაწილე საქართველოს კონტინგენტის შემადგენლობა. აღმოიფხვრება ნორმათა დუბლირებები.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას.	
51.	**„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და**	ცვლილების თანახმად ცალკეული ლიცენზიის გაცემის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცია. თუმცა კანონმდებლობა არ არეგულირებს რეკომენდაციის გაცემის წესს. შესაბამისად, მიზანშეწონილია დარეგულირდეს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემის წესი. პროექტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცის გაცემის წესი დარეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ----------	 კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას. ----------	

	სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	**„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 37^1 პუნქტი განსაზღვრავს ლიცენზიების ერთ-ერთ სახეს - სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიას. ამავდროულად არ არის დარეგულირებული სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გამცემი ორგანო და მისი გაცემის საფუძველი. პროექტი ითვალისწინებს სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გამცემი ორგანოს და მისი გაცემის საფუძვლების განსაზღვრას. ლიცენზიის გამცემ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ---------- **„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მოსაკრებელს ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 37^1 პუნქტით გათვალისწინებული სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის, 24-ე მუხლის 17^4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ნებართვის, აგეთვე ამავე მუხლის 27^3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ნებართვის გაცემის მოსაკრებელს. პროექტის მიხედვით განისაზღვრება სამხედრო პროდუქციის საბროკერო მომსახურების და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საბროკერო მომსახურების ნებართვის მისაღებად მოსაკრებლის ოდენობა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას. ---------- კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას.	
52.	**„სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	დანაშაულის პრევენციის, სამინისტროს ობიექტებისა და მოსამსახურეების უსაფრთხოების დაცვის, მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ინტერესიდან გამომდინარე მიზანშეწონილია პოლიციისთვის ისეთი დამატებითი უფლებამოსილების მინიჭება, როგორიცაა ავტომატური ფოტოგადაღება და ვიდეო-აუდიო ჩაწერა.	2019 წლის განმავლობაში იგეგმება 10 (ათი) ერთეული სამხრე ვიდეოკამერის შეძენა, რომლის	

		პროექტი ითვალისწინებს სამხედრო პოლიციისთვის ისეთი დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებას, როგორიცაა ფორმის ტანსაცმელზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, თავდაცვის სამინისტროს სისტემის შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე ავტომატური ფოტო და ვიდეო-აუდიო ტექნიკის დამონტაჟება/განთავსებას და მათი მეშვეობით ვიდეო-აუდიო ჩაწერა/გადაღებას.	საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 5000 ლარს, აღნიშნულის დაფინანსება განხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.	
53.	**„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნვლყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწოიფო**	საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე პირთათვის დამატებითი სოციალური გარანტიების შემოღების აუცილებლობით, რათა დარეგულირდეს იმ პირთა სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხი, რომლებიც მსახურობენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდებით. კანონს ემატება შესაბამისი ნორმები, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას დაექვემდებარებიან აგრეთვე, ის პირები, რომლებიც მსახურობენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდებით. ასევე პირს, რომელიც მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამინისტროს სპეციალური წოდებით, კომპენსაციის დაანგარიშებისას წელთა ნამსახურებაში ჩაეთვლება სამხედრო წოდებით ან/და სპეციალური წოდებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ან სხვა უწყებაში ნამსახურები წლები.	კანონპროექტი გავლენას იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. 2019 წლისათვის ზემოაღნიშნულ კონტინგენტზე გასაცემი კომპენსაცია დაახლოებით შეადგენს - 510 711 ლარს.	

	აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“			

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

54.	**„მედიაციის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	სასამართლოს განტვირთვის ერთ-ერთ გზად მედიაციის ინსტიტუტის გაძლიერება მიიჩნევა. მედიაციის პროცესში სათანადოდ მომზადებული მიუკერძოებელი მესამე პირები ეხმარებიან მოქალაქეებს და ბიზნესის წარმომადგენლებს სამოქალაქო დავების სწრაფად, ეფექტიანად და ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტაში, ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასამართლო პროცესის გარეშე. სახელმწიფო, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დახმარებით, მედიატორთა ასოციაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად აქტიურად უწყობს ხელს მედიაციის განვითარებას საქართველოში. ამ მიზნით, კანონპროექტმა უნდა გაითვალისწინოს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე მეტად მისაღები მოდელი, დაადგინოს მედიაციის მიმდინარეობის პროცესუალური წესები და სტანდარტები, განსაზღვროს მედიაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესები და სხვ.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. აქ იგულისხმება ის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია სსიპ - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობა სასამართლო მედიაციის პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს საერთო სასამართლოებისათ	

			ვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან უნდა ანაზღაურდეს.	
55.	**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი**	ბავშვთა რეფერირების მექანიზმის შექმნის საჭიროება განაპირობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების სიმრავლემ და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმის არარსებობამ. იუსტიციის სამინისტრომ 2018 წლის იანვარში მოამზადა სახელმწიფოთა პრაქტიკის კვლევა „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია", რომელშიც განხილული იყო სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და თან ახლდა სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე 2018 წლის პირველ ნახევარში ყველა შესაბამის უწყებასთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განხორციელდა პრობლემის ანალიზი და მომზადდა ბავშვთა რეფერირების კონცეფცია. ბავშვთა რეფერირების კონცეფციაზე დაყრდნობით იუსტიციის სამინისტრომ, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფორმატში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მოამზადა ბავშვთა რეფერირების მექანიზმის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. ბავშვთა რეფერირების მექანიზმის მიზანია რთული ქცევის მქონე ბავშვების სოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით.	საკანონმდებლო პაკეტის მიღება გამოიწვევს ფინანსური ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

	თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“			
56.	**„აღსრულების კოდექსი“** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	აღსრულების ახალი კოდექსის პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, რის შედეგადაც სააღსრულებო წარმოება მოერგება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. ახალი პროექტის მიზანია საკანონმდებლო დონეზე იმ ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრა, რაც გააჩნია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს მოქმედ კანონს. კერძოდ, კანონის სტრუქტურისა და შინაარსის კოდიფიკაცია, მთელი რიგი ნოვაციების გათვალისწინება, რომლებიც, ძირითადად, მიზნად ისახავს კანონის დაახლოებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან და აღსრულების პროცესში მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის განმტკიცებას.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	
57.	**„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“** (ახალი კანონპროექტი)	კანონპროექტის მომზადების საჭიროება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულმა ხარვეზებმა განაპირობა. კანონის მოქმედი რედაქციით ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა ფარგლები, გაკოტრების მმართველს არ ეკისრება სამეურვეო ქონების მოძიების ვალდებულება, არ არსებობს გაკოტრების პროცესის რეაბილიტაციის პროცესში გარდაქმნის შესაძლებლობა, გაკოტრების შემდეგ დარჩენილი ქონება, პარტნიორების ნაცვლად,	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს	

	(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	სახელმწიფოს ან სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში მიექცევა, რიგ შემთხვევებში უგულებელყოფილია არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები. გარდა ამისა, კანონში არსებობს მთელი რიგი სხვა ხარვეზებიც, რომლებიც პრაქტიკაში გადახდისუუნარობის პროცესს მოუქნელს და არაქმედითს ხდის, რაც საჭიროებს აღმოფხვრას და გადახდისუუნარობის ეფექტიანი, მხარეთა ინტერესებზე მორგებული სისტემის ჩამოყალიბებას.	სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	
58.	**„ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	სახელმწიფოს წინაშე სათანადო დამსახურების მქონე პირთა მიმართ სამართლიანობის დავის საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა შესაბამისი კატეგორიის პირების მსგავსად, მიზანშეწონილია, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ყოფილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოსამსახურეები ჩაითვალონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებად და მათთან გათანაბრებული პირებად, რათა მათ ისარგებლონ კანონმდებლობით, მათ შორის, „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათებით.	კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში განვითარებულ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის	

			მოსამსახურეები. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ბენეფიციართა ზუსტი რაოდენობა, ამ ეტაპზე შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე კანონპროექტის გავლენის ზუსტი მოცულობის განსაზღვრა შეუძლებელია, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეული სოციალური გარანტიები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით არის დადგენილი.	
59.	**„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“**	აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სისტემის მართვის ოპტიმიზაციისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია ერთი სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი, მსგავსი (მონათესავე) ფუნქციების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირების გაერთიანება.საკანონმდებლო პაკეტი მიზნად ისახავს	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	

	საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის გაერთიანების გზით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მართვის ოპტიმიზაციის ხელშეწყობას, აგრეთვე „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მოსამსახურეებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულად გავრცელებას, რათა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირებსა და მათ თანამშრომლებზე გავრცელდეს ერთიანი სამართლებრივი რეჟიმი. გარდა ამისა, ამავე კანონში ცვლილებების შეტანის საჭიროება განპირობებულია პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა პრობაციის ბიუროში გამოცხადების მსუბუქ რეჟიმზე გადაყვანის ახალი სტანდარტის შემოღების მიზანშეწონილობით. ცვლილებების მიზანია პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა გამოცხადების რეჟიმის დადგენისათვის შესაბამისი კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომელთა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მსჯავრდებულის ქცევა იქნება. ამავე ცვლილებებით იუსტიციის სამინისტროს სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადების ფუნქციასაც შეითავსებს, ხოლო სსიპ - პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი თავისუფლებააღკვეთილ პირთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრად გარდაიქმნება.	ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	
60.	**„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს**	საკანონმდებლო პაკეტის მიზანია ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის მიზნებისა და	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების	

	სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ	პრინციპების, მათ შორის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების პრინციპის, ეფექტიანი იმპლემენტაცია.	გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	

	უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“			
61.	**„პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“,**	საკანონმდებლო პაკეტის მიზანია, პირველ რიგში, იმ ხარვეზებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრა, რაც არსებობს პენიტენციური სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა აქტებში, საპროცესო კანონმდებლობის ჩათვლით. გარდა ამისა, საკანონმდებლო აქტებს შორის ცალკეული შეუსაბამობები და ხარვეზები გაჩნდა კანონმდებლობაში 2018 წლის 5 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით სამინისტროების გაერთიანების შედეგად. რაც შეეხება კონკრეტულ საკანონმდებლო სიახლეებს: პატიმრობის კოდექსის მოქმედი რედაქციით ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გააგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქეები გამოხატავენ უკმაყოფილებას და აცხადებენ, რომ არ სურთ გარკვეულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან წერილების მიღება. ამ საკითხის მოწესრიგების მიზნით, მიზანშეწონილია, პენიტენციურ დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენციის	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	

	„საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	გაგზავნა უზრუნველყოს ადრესატის (მესამე პირის) ნების პატივისცემის პრინციპის დაცვით. ამავე კანონპროექტით უნდა მოწესრიგდეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ ტელეფონით სარგებლობის საკითხებიც. არსებული პრაქტიკით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაქტილოსკოპირება ხდება ნეგატივების მეშვეობით, რაც ხშირ შემთხვევაში, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ზიანდება. აშშ-ს საელჩოსა და საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს (INL) მხარდაჭერით შეძენილ იქნა ტექნიკა, რომლითაც შესაძლებელი იქნება თითის ანაბეჭდების ელექტრონულად აღება და შემდგომ ერთიან ბაზაში მისი განთავსება. ამ საკითხის მოწესრიგების მიზნით, ცვლილება უნდა შევიდეს „პატიმრობის კოდექსის“ 35-ე მუხლში, რომლის თანახმად, „შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაქტილოსკოპირება განხორციელდება ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით“. გარდა ამისა, პრაქტიკის ანალიზიდან და თანამედროვეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საპროცესო კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, საამისოდ მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას, მხარის ან/და სპეციალური პენიტენციური სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, დაადგინოს სასამართლო განხილვაში მსჯავრდებულის დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაწილეობა.		
62.	**„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო**	„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოში 2016 წლის პირველი აგვისტოდან მიმდინარეობს მიწის რეგისტრაციის რეფორმა. კანონის ამოქმედების შემდეგ, სარეგისტრაციო პრაქტიკის შედეგად, გამოვლინდა ის საკითხები, რომლებიც საჭიროა დაზუსტდეს კანონით. ამასთან, რეფორმამ აჩვენა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესის ამსახველი კანონმდებლობა საჭიროებს დახვეწას. მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი კვლავაც მოსახლეობის ფაქტობრივ	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის	

	მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან	მფლობელობაში რჩება, თუმცა, სათანადო საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის გამო მიწის რეფორმის ფარგლებშიც ვერ ხდება მათზე მოსარგებლეთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. პროექტებით გაფართოვდება როგორც მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, ისე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის ცნება და გაჩნდება მოსარგებლეებისთვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის ახალი სამართლებრივი საფუძვლები; დაიხვეწება საკუთრების უფლების რეგისტრაციის მარეგულირებელი ნორმები. საჯარო რეესტრში მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესს აფერხებს კომლის წევრთა საკუთრებისა და მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავი საკანონმდებლო რეგულაციების არსებობა. ამ ინსტიტუტის საბჭოური შინაარსიდან გამომდინარე, კომლში სამკვიდროს გახსნას უკავშირებს მისი ბოლო წევრის გარდაცვალებას. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობით საკომლო წიგნის ჩანაწერი მიწაზე კომლის წევრთა მესაკუთრედ აღიარების საფუძველია, ხოლო კოლმეურნეობის გაუქმებით კომლმა თავისი თავდაპირველი შინაარსით არსებობა შეწყვიტა, ქონება, რომელიც კომლს ეკუთვნოდა, კომლის წევრთა ინდივიდუალურ საკუთრებად (წილის პროპორციულად) უნდა ჩაითვალოს და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის საერთო წესები.	საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	

	ერთად)			
63.	„ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება განპირობებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმების სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში გაბნევით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სირთულეები გვხვდება კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციისას. პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ამ სფეროს მოსაწესრიგებლად მიზანშეწონილად ჩაითვალა სპეციალური კანონის მიღება, რომელმაც, ერთი მხრივ, უნდა აღმოფხვრას არსებული საკანონმდებლო ხარვეზები, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების კონსოლიდაცია ერთ ნორმატიულ აქტში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს როგორც პრაქტიკის მოწესრიგებას, ისე - ღია, ანგარიშვალდებული, რაციონალური და ოპტიმალური საჯარო სამსახურის განვითარებას. ასეთი სპეციალური კანონი გამოკვეთს საქართველოს მთავრობის ღიაობის პოლიტიკას და გაამარტივებს პროფესიონალთა მუშაობას ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე.კანონპროექტის მიზნებია საჯარო ინფორმაციის დეფინიციის დაზუსტება, ასევე, ინფორმაციის გასაიდუმლოებისა და განსაიდუმლოების საფუძვლებისა და წესის შეცვლა საერთაშორისო პრაქტიკაში კარგად ცნობილი ტესტების შემოტანით და სხვ. ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც გათვალისწინებული იქნება კანონპროექტით, არის ინფორმაციის თავისუფლების საზედამხედველო მექანიზმის შექმნა. შესაბამის ორგანოს მიენიჭება უფლებამოსილება, კონსულტაცია გაუწიოს დაწესებულებებსა და დაინტერესებულ პირებს, იზრუნოს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, დააჯარიმოს საჯარო დაწესებულებები ინფორმაციის გაუცემლობისთვის, ინფორმაციის განადგურებისთვის, ვადის დარღვევისთვის და სხვ. ანტიკორუფციული უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერითა და აქტიური ჩართულობით, მიმდინარეობს მუშაობა კანონის შემუშავების მიზნით. სამოქალაქო	საკანონმდებლო პაკეტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების კომენტარების შესაბამისად განახლებული კანონპროექტი 2017 წლის გაზაფხულზე ანტიკორუფციული საბჭოს წევრებს დაეგზავნა ფართო კონსულტაციებისთვის. კანონპროექტმა გაიარა საერთაშორისო ექპერტიზაც, ხოლო 2018 წელს ჩატარდა მასშტაბური კონსულტაციები საჯარო დაწესებულებებთან. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს შემოსული მოსაზრებების დამუშავება, ანალიზი და საბოლოო შეთანხმება.		
64.	**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“,** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების ინტენსიური შეხვედრებისა და მუშაობის შედეგად, ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით, ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების უშუალო მონაწილეობით, სრულად გადაისინჯა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილები და შემუშავდა კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროცესში ყურადღება გამახვილდა ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ. გადაიხედა აგრეთვე კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობები, მათი დამამძიმებელი გარემოებები, გამოსაყენებელი სასჯელის სახეები და სხვ. სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით 2015 წლის ივლისში ევროსაბჭოს გადაეგზავნა, რომლის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზეც კანონპროექტი კიდევ ერთხელ გადამუშავდა. კანონპროექტმა გაიარა ასევე ევროკავშირის ექსპერტებისა და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების ექსპერტიზა. დღეის მდგომარეობით საკანონმდებლო ცვლილებათა სრული პაკეტი დასრულებულია, ის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭომ	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	

		2018 წლის 31 მაისს მოიწონა.		
65.	„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	2015 წლის 22 იანვარს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუცურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, აგრეთვე - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საჭიროა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები. ამასთან, განხორციელებულმა ცვლილებებმა უნდა უზრუნველყოს, ზოგადად, მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმების დაზუსტება, გამამტყუნებელი განაჩენის მტკიცებითი სტანდარტის ამაღლება და მისი კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე ირიბი მტკიცებულების არსის განსაზღვრა და იმ პირობების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელთა დაკმაყოფილებაც ირიბი მტკიცებულების დასაშვებად მიჩნევისთვისაა აუცილებელი.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	
66.	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი)	2015 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება, რაც საჭიროებს მასთან საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობაში მოყვანას. არსებული კანონმდებლობა დიდწილად არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს, ამიტომ საჭიროა შეიქმნას სრულიად ახალი კანონი, რომელიც მოაწესრიგებს საქართველოში შშმ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას და შექმნის მყარ გარანტიებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ახალმა კანონმა უნდა მოიცვას არაერთი სფერო - ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, განათლება, შრომითი უფლებები, ინფრასტურქუტურის ადაპტაცია და შშმ პირთათვის	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.	

	(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ხელმისაწვდომობა და სხვ.		
67.	„საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობას და გაძლიერებას, მოქალაქისა და ბიზნესისათვის ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნას, ელექტრონული მომსახურების გამარტივებას. ეს პროექტი იყო „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ ახალი კანონის თანმდევი ნაწილი, მაგრამ თავის დროზე ჩაითვალა, რომ არ არსებობდა მზადყოფნა ზაკ-ში ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლდ და ის ერთიან პაკეტს გამოეყო. კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვანია „ბიზნესსახლისა“ და სხვა ელექტრონული მმართველობის დარგში განსახორციელებელი რეფორმებისთვის.	კანონპროექტის მიღება, საწყის ეტაპზე, გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.	
68.	„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირთან, ამავდროულად, საქართველოს ნოტარიატი წარმოადგენს ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრს, მიზანშეწონილია, საქართველოში ნოტარიატის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ შეიმუშავა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრას, ისეთი საკითხების დეტალურად რეგულირებას, როგორიცაა ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პირობები, გამგეობის წევრებისა და ხელმძღვანელი პირის არჩევის წესი, ნოტარიუსის შემცვლელი პირების დანიშვნის ვადები, სანოტარო საქმიანობაზე პრევენციული კონტროლის მექანიზმის შემოღება, ნოტარიუსის, როგორც გადასახადის გადამხდელის, დაბეგვრის მექანიზმი, უფლებამოსილებაშეწყვეტილი ან უფლებამოსილებაშეჩერებული ნოტარიუსების მიერ შედგენილ ხარვეზიან სანოტარო აქტში ცვლილებების შეტანის წესი, ნოტარიუსის თანაშემწის სტატუსის განსაზღვრა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების	

		ნოტარიატში დანერგვა.	აღებას.	
69.	**„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება განპირობებულია „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ“ ჰაგის 1965 წლის კონვენციისა და „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე მტკიცებულებათა საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ“ ჰაგის 1970 წლის კონვენციის საქართველოს სახელმწიფოსთვის სავალდებულოდ აღიარებით. ზემოაღნიშნულ კონვენციებთან მიერთება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს. კონვენციებთან საქართველოს მიერთება ხელს შეუწყობს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე სასამართლოთა თანამშრომლობის გაუმჯობესებას და ქვეყნებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების წესისა და პროცედურების გამარტივებას, ისევე, როგორც სამოქალაქო და კომერციული დავების დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტას.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	აღნიშნული კონვენციების სავალდებულოდ აღიარება გამომდინარეობს ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე მუხლის პირველი პუნქტიდან
70.	**„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს მეწარმე სუბიექტის საფირმო სახელწოდების განსაზღვრის ზოგად წესს და არ ითვალისწინებს სათანადო სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც აღკვეთს მეწარმე სუბიექტების დამფუძნებლის მიერ სხვა სუბიექტების სახელის არაკეთილსინდისიერად გამოყენებას. ანალოგიური უნდა ითქვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაზეც. კანონპროექტების მიზანია მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებების განსაზღვრის წესის დახვეწა, საფირმო სახელწოდებასთან/სახელწოდებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემური საკითხების	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ასევე ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და	-

		გადაწყვეტა, ფიზიკური პირების (მათ შორის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების) სახელის უფლების დაცვა და ამ მხრივ ქართული კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზება.	ხარჯვით ნაწილებზე. იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.	
71.	„ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი)	კანონპროექტის ინიცირება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისი ნაწილებით გათვალისწინებული ფულადი სახის ადმინისტრაციული სახდელების აღსრულების პროცესში სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირების (პირები, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკომონიკური მდგომარეობის მაჩვენებელი 100 001 ქულაზე ნაკლებია), ასაკით პენსიონერების (ქალი 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი 65 წლის ასაკიდან), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, დევნილებისა და მარტოხელა მშობლების ინტერესების დაცვის საჭიროებას უკავშირდება. აღნიშნული კატეგორიის პირებს შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის გამო დაეკისრათ ჯარიმა, რომლის გადახდა და მისი გადაუხდელობით წარმოქმნილი საურავი, მძიმე ტვირთად აწვება როგორც მათ, ასევე მათ ოჯახებს, რის გამოც მნიშვნელოვანია გარკვეული შეღავათის შემოღება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, და საქართველოს მთავრობის სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოხსენებული კატეგორიის პირების ერთჯერადად გათავისუფლება ადმინისტრაციული სახდელისაგან, რაც მათ გარკვეულ ფინანსურ შეღავათს მისცემთ.	სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირების (რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკომონიკური მდგომარეობის მაჩვენებელი 100 001 ქულაზე ნაკლებია) მიმართ, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული 26 086 სააღსრულებო საქმიდან - 16 940 271.34 ლარი; ასაკით პენსიონერის (ქალი 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი	

			65 წლის ასაკიდან) მიმართ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული 2 410 სააღსრულებო საქმიდან - 1 891 593.1 ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული 2 196 სააღსრულებო საქმიდან - 1 469 339.72 ლარი; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მიმართ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული 1 215 სააღსრულებო საქმიდან - 666 381.21 ლარი;	

			მარტოხელა მშობლის მიმართ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული 134 სააღსრულებო საქმიდან - 54 568 ლარი; დევნილთა მიმართ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული 6 099 სააღსრულებო საქმიდან - 2 644 383.18 ლარი.	

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

72.	**„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციების მიუხედავად, პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც მიმართული იქნება სამხედრო გაწვევისა და სამხედრო მობილიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და ეფექტიანობის ამაღლებისაკენ. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს სამართლებრივ შეზღუდვებს საჯარო სამსახურში დანიშვნის კუთხით იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელთაც არ გაუვლიათ სამხედრო სავალდებულო სამსახური. ასევე, კანონპროექტმა უნდა გაითვალისწინოს რეგულაცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება აღირიცხოს საკონტრაქტო და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის გამვლელი ყველა წვევამდელი და მათ შესახებ ინფორმაცია. პრობლემურია ასევე სამხედრო სამსახურის მოხდის წესი იმ მოქალაქეების მიერ, რომლებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად ან სამუშაოდ. ასევე, საჭიროა დაზუსტდეს სამხედრო სამსახურის გადავადების საფუძვლები, რათა მაქსიმალურად შემცირდეს სამხედრო სამსახურის გადავადების საფუძვლებით უკანონო და უსარგებლო ფაქტები. ამასთან, დასაზუსტებელია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გამვლელთათვის პირადი შემადგენლობის სიიდან ამორიცხვის ვადები როტაციის თვალსაზრისით და ვადამდე დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა რეზერვში ჩარიცხვის წინაპირობა. კანონპროექტში ჩნდება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც წვევამდელმა საკონტრაქტო სამსახური შეიძლება გაიაროს მხოლოდ მუნიციპალიტეტის/ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის რაიონის გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. აღნიშნული რეგულაცია შესაძლებლობას იძლევა აღირიცხოს საკონტრაქტო და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის გამვლელი ყველა წვევამდელი და მათ შესახებ	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან, არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, არ იწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან და არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.	

		ინფორმაცია. კანონპროექტი აზუსტებს სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების საფუძვლებს რის შემდეგაც, შეუძლებელი იქნება სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით სარგებლობა, გასაწვევი პირის ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის შეცვლით ან 14 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ პირის გაშვილების შემთხვევაში. ასევე, გაწვევის გადავადების საფუძველი ვეღარ გახდება სტუდენტის სტატუსის ქონა კანონით გათვალისწინებული სასწავლო სემესტრების რაოდენობის ამოწურვის შემთხვევაში. კანონპროექტით, ასევე, ხდება შესაბამისი ჩანაწერის ამოღება, რის შემდეგაც, საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები ან მომუშავე და საქართველოში მცხოვრები/მომუშავე პირების მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდის საკითხები ერთგვარად დარეგულირდება. კანონიდან ხდება ჩანაწერის ამოღება, რომლის მიხედვითაც წვევამდელი, რომელსაც სურს რომ ისარგებლოს გადავადების უფლებით, ვალდებულია ამის შესახებ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევამდე 1 თვით ადრე აცნობოს მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ასევე, კანონპროექტის მიხედვით, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე ჩაირიცხება რეზერვში. აღნიშნული რეგულაცია არ გავრცელდება იმ სამხედრო მოსამსახურეზე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად. გარდა ამისა, კანონპროექტით ზუსტდება ისეთი საკითხები, როგორიცაა საჯარო სამსახურში დანიშვნისას დასაწესებელი შეზღუდვები, მოქალაქეთა სამხედრო აღიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის საერთო კოორდინაციის განმახორციელებელი ორგანო, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გამვლელთათვის პირადი შემადგენლობის სიიდან ამორიცხვის ბრძანების გამოცემისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვადები. ----------	----------	
		„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული	

		საქართველოს კანონით გათვალისწინებული რიგი რეგულაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებას. კერძოდ, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა სავალდებულოა კანონით დადგენილი პირებისათვის. თუმცა, პრაქტიკული შემთხვევების გათვალისწინებით, ხშირად ხდება აღნიშნული ვალდებულების მოხდისათვის თავის არიდება როგორც სხეულის თვითდაზიანებით, ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარი მოტყუებით. გარდა ამისა, ხშირია სამხედრო ვალდებულების მოხდისთვის თავის არიდების მიზნით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაში შესაბამისი გაწვევის პერიოდში განმეორებით გამოუცხადებლობა. კანონპროექტით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრება სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის თავის არიდების მცდელობა ავადმყოფობის მოჩვენებით, სხეულის თვითდაზიანებით ან სხვაგვარი მოტყუებით. გარდა ამისა, დაწესდება პასუხისმგებლობას სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაში, შესაბამისი გაწვევის პერიოდში განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ხოლო, ჯარიმად განისაზღვრება 2000 (ორი ათასი) ლარი. ზემოხსენებულ ქმედებებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება ენიჭება მუნიციპალიტეტის მერს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ხოლო, აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. --- **„სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“**	ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან. თუმცა, მისი მიღება პირდაპირ გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, განისაზღვრება ჯარიმა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაში, შესაბამისი გაწვევის პერიოდში განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე, წვევამდელის მიერ სხეულის თვითდაზიანებით, ავადმყოფობის მოჩვენებით ან სხვაგვარი მოტყუებით, სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მცდელობისათვის. --- კანონპროექტის	

		საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის თანახმად, ახლებურად უნდა ჩამოყალიბდეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის განაკვეთის საკითხი. კერძოდ, მოსაკრებლის გადახდის შედეგად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების პერიოდი უნდა შემცირდეს და ნაცვლად 18 თვისა, უნდა განისაზღვროს 12 თვით. აღნიშნული განპირობებულია „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, გაწვევით ვადიანი სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 12 თვეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვადასთან დაკავშირებით, კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულაცია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სამხედრო სამსახურის ვადასთან. გარდა ამისა, კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით მხოლოდ ორჯერ სარგებლობას, მაგრამ არაუმეტეს 25 წლის ასაკისა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას ექვემდებარება პირი 18-დან 27 წლის ასაკამდე. წინამდებარე კანონის მოქმედი რედაქციით კი გადავადების უფლებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ 25 წლამდე. 25 წლიდან 27 წლამდე პერიოდი კი რეგულირების მიღმა რჩება. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ახლებურად განისაზღვრება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების ვადა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება შესაძლებელი იქნება 12 თვით. ხოლო, აღნიშნული უფლებით სარგებლობა პირს შეეძლება მხოლოდ ორჯერ. კანონპროექტის თანახმად, მცირდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების პერიოდი 18 თვიდან 12 თვემდე. აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობს და შეესაბამება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სამხედრო სამსახურის ვადას, რომელიც შეადგენს 12 თვეს. გარდა ამისა, კანონპროექტით ხდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის	მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან. თუმცა, მისი მიღება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, კანონპროექტის შესაბამისად, უქმდება ასაკობრივი შეზღუდვა, რომელიც დაწესებული იყო გადავადებით მოსარგებლე პირთათვის. შესაბამისად, გაიზრდება გადავადების უფლებით მოსარგებლეთა რაოდენობა.	

		გადავადების უფლებით სარგებლობისას ასაკობრივი დათქმის - „არაუმეტეს 25 წლის ასაკისა“ ამოღება. რის შედეგადაც, აღნიშნული უფლებით სარგებლობა პირს შეეძლება ორჯერ, 27 წლის ასაკამდე.		
73.	**„ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	ნარჩენების მართვის კოდექსის მე-6 მუხლი განსაზღვრავს კომპეტენტურ ორგანოებს ნარჩენების მართვის სფეროში, კერძოდ, მე-7 ნაწილით განსაზღვრულია არასახიფათო ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციები. უნდა აღინიშნოს, რომ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობას, მართვას, დახურვას და გადამტვირთავი სადგურების მოწყობას ახორციელებს სამინისტროს მართვაში არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. ამასთან, ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროს ასევე განეკუთვნება სახიფათო ნარჩენების მართვა. დღეის მდგომარეობით სახიფათო ნარჩენების მართვის სფეროში დაგროვდა რიგი არსებითი ხასიათის პრობლემები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან დროულ ჩარევას და რეაგირებას საჭიროებს. გარემოს სახიფათო ზემოქმედებისაგან დაცვის ნაწილია სახიფათო ნარჩენების მართვის გაუმჯობესება, თუმცა, ქვეყანაში არ არსებობს სახიფათო ნარჩენების, შეგროვების, დამუშავებისა და განადგურების ობიექტი. გამონაკლისია ზოგიერთი საწარმო კერძო სექტორში, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების დამუშავებას მცირე რაოდენობის ნარჩენებისათვის. აღნიშნული საწარმოები ვერ ფარავენ ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებულ სახიფათო ნარჩენების რაოდენობას. კვლევების თანახმად, დღეის მდგომარეობით, სახიფათო ნარჩენების მხოლოდ 10% მუშავდება, ხოლო ქვეყნის მასშტაბით, ყოველწლიურად 150000 ტონა სახიფათო ნარჩენი წარმოიშვება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამატებით ახალი კომპანიის შექმნის ნაცვლად რომლის ფუნქციაც იქნება სახიფათო ნარჩენების მართვა, მიზანშეწონილია სახიფათო ნარჩენების მართვა განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებულმა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“.	კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელს გადაეცემა საინვესტიციო თანხები სახიფათო ნარჩენების მართვის მიზნით. ამ ეტაპზე მოიაზრება აღნიშნული მიმართულებით 30 მილიონი ევრო კაპიტალური ხარჯებისათვის, საიდანაც უმეტესი წილი იქნება სესხის სახით რომელსაც საქართველო აიღებს (მიიღებს) განვითარების პარტნიორ(ებ)ისაგან. ასევე განიხილება ტექნიკური დახმარების სახით პროექტის მხარდაჭერა.	

		წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა დააზუსტებს სახიფათი ნარჩენების მართვაზე უფლებამოსილ ორგანოს, რაც სახიფათო ნარჩენების მართვის სფეროში დღეს არსებული პრობლემების გადაჭრის წიანპირობაა. ამასთან, პრობლემის გადაჭრისთვის განიხილება ორი სახიფათო ნარჩენების შემგროვებელი სისტემის შექმნა: ერთი აღმოსავლეთ და მეორე დასავლეთ საქართველოში. სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემა მოიცავს, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, შეგროვების პუნქტებს, გადამტვირთავ მანქანებს, ინტეგრირებული სახიფათო ნარჩენების მართვის 2 ობიექტს, რომელიც მოიცავს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, ინსენერაციას და ნაგავსაყრელის მოწყობას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესწავლა და დეტალები შემგროვებელი სისტემის შესახებ დაზუსტდება მოგვიანებით.	რაც შეეხება ადგილობრივ ხარჯებს: სავარაუდოდ, 4 300 000 ევრო - ადგილობრივი კონტრიბუცია. ამასთან, წინასწარი გათვლებით წლიური ოპერირების ხარჯი, სავარაუდოდ, იქნება 4 მილიონი ლარი.	
74.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით არსებითი რეფორმების განხორციელება, რომელმაც მართვის დემოკრატიულობა და მოსახლეობისთვის საჯარო მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა უნდა განაპირობოს. საქართველოს მთავრობა დეცენტრალიზაციის პროცესს განიხილავს ქვეყანაში დემოკრატიისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების დამკვიდრების საკვანძო ასპექტად. მნიშვნელოვანია ასევე სუბსიდიარობის პრინციპი, რომელიც არის გარანტია, რომ საჯარო პოლიტიკა ხელისუფლების ყველა დონეზე იქნება წარმატებული და მის განხორციელებაში მოსახლეობის დიდი მასები მიიღებენ მონაწილეობას. სუბსიდიარობისა და უფლებამოსილებებთან რესურსების შესაბამისობის პრინციპები, კონსტიტუციის ახალი რედაქციით (პროექტით), საკონსტიტუციო ნორმის რანგშია აყვანილი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დეცენტრალიზაციის ხარისხსა და თვითმმართველობის ეფექტიანობას. თვითმმართველობის რეფორმა, მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებისა და ფინანსური	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს თუმცა კანონპროექტის მიღება ზეგავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ვინაიდან იზრდება სამართალდარღვევების რაოდენობა, რომლებზეც გამოიწერება სამართალდარღვევის ოქმები. კანონპროექტი არ	

		დამოუკიდებლობის გაზრდას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მეტ ჩართულობასა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა მეტ დეცენტრალიზაციას. მდგრადი განვითარების პირობებში აუცილებელია რესურსებზე თანასწორი ხელმისაწვდომობა, ამ მიმართულებით მყარ სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტს თანაბარ პირობებში აყენებს. ზემოაღნიშნული რეფორმისა და სულისკვეთების გაგრძელებას წარმოადგენს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (შემდგომში - კანონპროექტი). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (შემდგომში - კოდექსი) ზოგიერთი სანქცია, სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილი იყო მხოლოდ იმ ქმედებისთვის რომელიც ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები, გარკვეული გამონაკლისების გარდა, სხვა მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების მსგავსია, არ არსებობს სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებით, მისი განსხვავებულ პირობებში ჩაყენების საფუძველი. აღნიშნულმა განაპირობა წინამდებარე კანონპროექტის მომზადებისა და ქვეყნის მასშტაბით, თითოეული მუნიციპალიტეტის თანაბარ პირობებში ჩაყენების აუცილებლობა. კანონპროექტის მიზანია ქალაქ თბილისისა და სხვა მუნიციპალიტეტების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება და კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სახდელების დაკისრების ერთნაირი მიდგომის საფუძველზე დარეგულირება, შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად, კანონპროექტის თანახმად, კოდექსით გათვალისწინებული ის მუხლები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ერთსადაიმავე დარღვევებზე სანქციებს და დაჯარიმების წესს განსხვავებულად განსაზღვრავდნენ, ან მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის არეგულირებდნენ,	იწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან და არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.	

		გავრცელდება ასევე სხვა მუნიციპალიტეტებზე და დამკვიდრდება ერთიანი მიდგომა. განსხვავებული იქნება მხოლოდ სანქციების ნაწილი, ქალაქ თბილისის ეკონომიკური და სოციალური მაშტაბების გათვალისწინებით.		
75.	**„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**	წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზეზია, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ტურისტულ ზონებში, საკმაო რაოდენობის შენობა-ნაგებობის არსებობა, რომელიც საჭიროებს შეკეთებას (რემონტს), რეკონსტრუქციას, აღდგენას ან/და დემონტაჟს. ამ ტიპის შენობების არსებობა, რომლებიც ამახინჯებენ საზოგადოებრივი სივრცის იერსახეს, პრობლემურია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით: უპირველეს ყოვლისა, ისინი აფერხებენ მიმდებარე ტერიტორიის ეკონომიკურ განვითარებას, იქიდან გამომდინარე, რომ ერთი მხრივ თავად არ ფუნქციონირებენ და მეორე მხრივ, რიგ შემთხვევებში არ ხდება მიმდებარე ტერიტორიით ინვესტორის დაინტერესება შენობის არსებობის ან მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, აგრეთვე რათა, თავიდან იქნეს აცილებული ქვეყანაში მყოფი ვიზიტორების მხრიდან უარყოფითი შეფასებები ამ მიმართულებით. კანონპროექტის შესაბამისად, იმ შენობა-ნაგებობის შეკეთების (რემონტის), რეკონსტრუქციის, აღდგენის ან/და დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომელიც იწვევს მუნიციპალიტეტის დამახინჯებას და რომელიც მდებარეობს საზოგადოებრივი სივრციდან ვიზუალური აღქმის არეალში მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ ტერიტორიაზე ან/და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით განსაზღვრული ზონების მოთხოვნათა შეუსაბამოდ ან მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ დადგენილ ტერიტორიებზე, რომელსაც დაზიანებული აქვს გარე მოპირკეთება, გადახურვა, შემინვა, შემოღობვა, გარეშემომზღუდავი ან/და მზიდი კონსტრუქციები გამოწვევს მესაკუთრის დაჯარიმებას 200-დან 5000 ლარამდე, შენობა-ნაგებობის მდებარეობის მიხედვით. ზემოხსენებული მუხლის მოქმედება არ გავრცელდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე არსებულ საცხოვრებელ სახლებზე, ასევე არ გავრცელდება	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან, კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს თუმცა კანონპროექტის მიღება ზეგავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ვინაიდან დადგენილია ჯარიმა სამართალდარღვევი სთვის. კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას	

		კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებელი მიზნით, რათა არ დაზარალდეს მოსახლეობის ინტერესები. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილების მიზანს არ წარმოადგენს მესაკუთრის იძულება განახორციელოს დემონტაჟი, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დაეკისრება ვალდებულება მისცეს მესაკუთრეს მითითება, რომლითაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსასწორებლად. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო შეადგენს შემოწმების აქტს. თუ დარღვევა არ გამოსწორდა განსაზღვრულ ვადაში მესაკუთრეს დაეკისრება ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.		
76.	**„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) ამოქმედებამდე დაწყებულია რიგი დასახლებებისთვის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების პროექტის შემუშავება (ზოგიერთ პროექტს საბოლოო სახე აქვს მიღებული). ხსენებული დოკუმენტებით გათვალისწინებული საკითხები ექცევა II დანართით, რიგ შემთხვევაში I დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ჩამონათვალში. ვინაიდან, სგშ-ს ჩატარების პროცედურების დაწყება მიზანშეწონილია ადრეულ სტადიაზე, რათა დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მომზადებისას შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნას სამინისტროს რეკომენდაციები, უკვე დამუშავებული პროექტების შემთხვევაში, სგშ-ს ჩატარება აზრს მოკლებულია. ვინაიდან, ამ ეტაპზე სგშ-ს ჩატარებასთან დაკავშირებული კვლევების განხორციელება და მათში ცვლილების შეტანა გაუთვალისწინებელ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და ამ ეტაპზე დაგვიანებულიცაა, არსებული რეგულაცია წარმოშობს პრაქტიკულ პროლემებს და აფერხებს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების პროცესს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კოდექსის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი სრულყოფილად არ ასახავს სივრცითი - ტერიტორიული დაგეგმვის პროცესს, რის გამოც მიზანშეწონილია	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან, კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს თუმცა კანონპროექტის მიღება ზეგავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ვინაიდან 2019 წლის 1 იანვრამდე	

		აღნიშნული ქვეპუნქტში განხორციელდეს ცვლილება და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული დოკუმენტი შეიძლება შეეხოს ქალაქის იმ ნაწილს, სადაც დამტკიცებულია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და უკვე ჩატარებულია სგშ. შესაბამისად, იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მსგავსი საკითხის მრავალჯერ განხილვა, მიზანშეწონილია ცვლილება განხორციელდეს კოდექსის მე-20 მუხლის მე-5 ნაწილში და მოქმედი რეგულაცია ასევე გავრცელდეს ქალაქზეც. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მსგავსი საკითხის მრავალჯერ განხილვის თავიდან აცილების მიზნით ნორმის მოქმედება გავრცელდება ქალაქზეც. ამასთან, კანონპროექტი ადგენს, რომ 2019 წლის 1 იანვრამდე დაწყებული ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ეხება II დანართის მე-9 პუნქტის 9.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციას და ამ სტრატეგიულ დოკუმენტში შესატანი ცვლილება სგშ-ს არ ექვემდებარება და მათზე არ ვრცელდება ამ კოდექსით სგშ-ისთვის დადგენილი პროცედურები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად დამგეგმავი ორგანო მოითხოვს სგშ-ის ჩატარებას. ამასთან, გაფართოვდება დანართი II-ის მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტი და იგი მოიცავს ასევე სივრცითი მოწყობის ან/და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაციას.	დაწყებული სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების შემთხვევაში სგშ არ იქნება სავალდებულო და შესაბამისად, დამგეგმავი ორგანო არ გადაიხდის მომსახურების საფასურს. კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან და არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.	
77.	**„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“**	2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი). აღნიშნული კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებათა	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან, არ	

	(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	დელეგირების მიზნით შესაბამისი სფეროების განსაზღვრა და საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო აქტის პროექტის წარდგენა. შესაბამისად, კანონპროექტის მომზადების მიზეზია აღნიშნული საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება. წარმოდგენილი კანონპროექტით განხორციელდება შინაარსობრივი და ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილება და საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაცია. გარდა ამისა, კანონპროექტით მოხდება ზოგადი განათლებისა და კულტურის სფეროში მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების განსაზღვრა, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების დაზუსტება. ასევე, ზუსტდება მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მართვის კუთხით და წყლის რესურსის მართვა აღარ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. ამასთან მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას ემატება სათათბირო ორგანოების შექმნის უფლებაც. ახლებურად ჩამოყალიბდა ასევე იმ სფეროების ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი უფლებამოსილების ფარგლებში გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტებში ასევე აისახება დეცენტრალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებული საკითხები და მკაფიოდ გაიმიჯნება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები.	იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, არ იწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან და არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.	

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

78.	**„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულები საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N330 დადგენილების ,,საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად, ახორციელებენ საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების პროცედურების უზრუნველყოფას და შესაბამისი წესით მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. რიგ შემთხვევებში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების მიერ დამკრძალავი ბიუროების მომსახურებაზე გაწეული ხარჯი აჭარბებს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნტით განსაზღვრულ მონეტარულ ზღვრებს. აღნიშნული გარემოება თავისთავად იწვევს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ნორმებით გათვალისწინებულ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დარღვევას, ვინაიდან უმეტესწილად შესყიდვის ღირებულება ბევრად აღემატება საზღვარგარეთ დიპლომატიურ წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის გამარტივებული შესყიდვისთვის კანონით დადგენილ ზღვრულ (50000 ლარი) ნორმას, თუმცა წარმოუდგენელია საზღვარგარეთ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული პროცედურების მეშვეობით.	კანონპროექტის მიღებით გამოწვეული ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ასიგნებებიდან. შესაბამისად, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		კანონში შედის ცვლილება, რომლის შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებზე არ გავრცელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნტით განსაზღვრული შეზღუდვა, ,,საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების პროცედურების განხორციელებისას.		

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

79.	**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის შემუშავების მიზანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის დახვეწა და სრულყოფა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის ხელის შეწყობა. კანონპროექტის მიზანია, ასევე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში კონსოლიდაციასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება. ამასთან, პროექტი უზრუნველყოფს აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეგისტრაციის პროცესის სრულყოფას, პროფესიული ორგანიზაციის მიერ პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სფეროში, სუბიექტთა მიერ ანგარიშგებების წარდგენისას და ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფისას გასატარებელი ღონისძიებებისათვის მოქნილი სამართლებრივი ბაზის შექმნას, ტექნიკური უზუსტობების და ბუნდოვანების აღმოფხვრას.	კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	პროექტი შესაბამისობაში მოდის „ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ“ რეგულაციასთან, რომელიც ცვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/43/EC დირექტივას და აუქმებს საბჭოს 78/660/EEC და 83/349/EEC დირექტივებს" 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივასთან და 2002 წლის 19 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს "ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ" N1606/2002 რეგულაციასთან.
80.	**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და**	ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დაწყებამდე ადმინისტრაციული წარმოებისა (მათ შორის, საზედამხედველო/ მარეგულირებელი ორგანოების ფარგლებში) და მონიტორინგის	კანონპროექტების მიღება არ იქონიებს გავლენას	

	აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	პროცესში წინასამონიტორინგო ანალიზის ეტაპმა გამოავლინა რომ სამსახურს რისკების მართვისათვის არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რითაც ხელი ეშლება განსაზღვროს მაღალი რისკის მქონე ჯგუფები. ამასთან, მონიტორინგის ჯგუფს ხელი ეშლება სწორად წარიმართოს შემოწმების პროცესი, რაც იწვევს წინასამონიტორინგო ანალიზის ეტაპის და მონიტორინგის გეგმის შედგენის პროცესის გაჭიანურებას. პროექტებით შემოთავაზებული ცვლილებების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილი იქნება შეუფერხებლად, მოსამართლის ბრძანების გარეშე განახორციელოს აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებული პროცედურები. ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის, მათ შორის, ფულადი ჯარიმის, დაკისრება. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს სამსახურის გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახურის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას, რათა პრაქტიკაში უზრუნველყოფილ იქნას ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანებების აღსრულება. შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებს სამსახურის უფროსის უფლებამოსილების დამატებას სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.	სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე	
81.	**„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საავტომობილო გზების**	კანონპროექტების შემუშავების მიზანია აღმოიფხვრას საერთაშორისო გადაზიდვების კუთხით არსებული გარკვეული ხელისშემშლელი/შემაფერხებელი გარემოებები. აღნიშნულის განსახორციელებლად და საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეწყობისა და კანონის ნორმათა საზღვაო გადაზიდვის სპეციფიკასთან შესაბამისობის მიზნით, ფართოვდება იმ გამონაკლისი შემთხვევების (საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონებს შორის	კანონპროექტების მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე	

	შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	გადაადგილების) არეალი, რა დროსაც არ/აღარ გავრცელდება ნებადართულ მაქსიმალურ მასაზე ფაქტობრივი მასისა და ღერძზე დატვირთვის გადაჭარბების აკრძალვა და სატრანსპორტო საშუალების პარამეტრებზე (გაბარიტებზე) დადგენილი შეზღუდვები.		
82.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს აღმოიფხვრას ავტოსადგომების ფუნქციონირებისათვის დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების ეფექტური მექანიზმის არარსებობის პრობლემა და აღნიშნული საკითხის დარეგულირების, შესაბამისად, საბაჟო კონტროლის სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობის, გადამზიდავების (პირების, რომელთა ვალდებულებასაც წარმოადგენს საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთში განთავსებულ ავტოსადგომებში შესვლა) ინტერესების დაცვისა და ავტოსადგომებისათვის დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის (კანონმდებლობის დარღვევის) პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით, წესდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ახალი სახის „ავტოსადგომის მუშაობის წესების დარღვევის“ დამატებით.	კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კანონპროექტების მიღება იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ახალი სახის - ავტოსადგომის მუშაობის წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული	

			ჯარიმის ოდენობით	
83.	**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - კანონი) უფლებას ანიჭებს საქართველოს მთავრობას დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ასევე კანონი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ანიჭებს უფლებას ჰქონდეთ საკუთარი შემოსავლები, თუმცა დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მთავრობას არ აქვს უფლებამოსილება დაადგინოს თავის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გასაწევი ანაზღაურებადი მომსახურების სახეები და საფასურის ოდენობები, რაც არალოგიკურია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით მიზანშეწონილია შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის შექმნა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას ჰქონდეს უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გასაწევი ანაზღაურებადი მომსახურების სახეები და შესაბამისი საფასურების ოდენობები.	კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	
84.	**„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	პროექტის მიზანს წარმოადგენს გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფა, სამართლიანი და მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა, ტექნიკური უზუსტობებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრა.	კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	
85.	**„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების**	2019 წლის პირველი კვარტლის მაკროეკონომიკური შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის კორექტირება და საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წრესით საქართველოს პარლამენტში 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე წარდგენა.		

	შეტანის თაობაზე“			
86.	**„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	საკანონმდებლო პაკეტი მიზნად ისახავს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი დებულებების დაზუსტებას და პრაქტიკაში წარმოშობილი ხარვეზების აღმოფხვრას.		

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

87.	**„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შახებ“ და „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია ცივი და ცივი სასროლი იარაღის ბრუნვის კონტროლის მექანიზმების გამკაცრების საჭიროებით. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა აუცილებლობა, რომ ცივი იარაღით ვაჭრობა, შემოტანა და დამზადება დაექვემდებაროს სახელმწიფო კონტროლს. ცვლილებებით შესაძლებელი იქნება ამ საქმიანობის უსაფრთხოების სტანდარტების, ვაჭრობის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირთა წრის, მომეტებული საშიშროებიდან გამომდინარე სამოქალაქო ბრუნვიდან სრულად ამოსაღები ცივი და ცივი სასროლი იარაღის სახეობების განსაზღვრა. აუცილებელია სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტექნიკური მახასიათებლების მთავრობის დადგენილებით განსაზღვრის საკითხის რეგლამენტაცია. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რამდენადაც ტექნიკური მახასიათებლების არარსებობის გამო თავისი არსით თავდაცვის ცეცხლსასროლი იარაღი ცალკეულ შემთხვევებში რეგისტრირდება, როგორც სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი. პროექტი ითვალისწინებს ცივი იარაღით ვაჭრობის, შემოტანის, დამზადების რეგულაციას. ცივი და ცივი სასროლი იარაღის ის სახეობები, რომელიც განკუთვნილია საოჯახო, საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო, სახელოსნებო, სასუვენირო	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		დანიშნულებისთვის ან წარმოადგენს ეროვნული ტანისამოსის ატრიბუტიკის ნაწილს არ დაექვემდებარება რეგულირებას. ამასთან, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული განსაკუთრებული საშიშროების ცივი იარაღის სახეობები. მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. ---------- **„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შახებ“** კანონპროექტის მომზადება განპირობებულია ცივი და ცივი სასროლი იარაღის ბრუნვის კონტროლის მექანიზმების გამკაცრების საჭიროებით. პროექტით იზრდება სანქციები ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით; ცალკე შემადგენლობად გამოიყოფა და უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა დადგინდება სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ცივი იარაღის ტარებისთვის. ასევე შემოდის პასუხისმგებლობა ცივი იარაღით ვაჭრობის პირობების დარღვევისთვის. ---------- **„სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** პროექტის შემუშავების მიზეზია ცივი იარაღის ლეგალური ბრუნვის კონტროლის გამკაცრების და ეფექტიანი ადმინისტრირების სისტემის დანერგვის საჭიროება. სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება	---------- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმების ოდენობით. ---------- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ცივი იარაღით ვაჭრობა; სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება რიგ შემთხვევებში ცივი იარაღით ვაჭრობის პირობების დარღვევა; ცივი იარაღის ტარების *განმეორებით* ჩადენა გამოიწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება აღნიშნული სამართალდარღვევის მხოლოდ მესამედ ჩადენის შემთხვევაში; სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით მკაცრდება სასჯელები ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით. ---------- **თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები**: თანმდევი ცვლილებები შედის ასევე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონებში.		
88.	**„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან**	პროექტის შემუშავება განპირობებულია სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრების აუცილებლობით. აღნიშნული კანონის მიღება ხელს შეუწყობს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციას.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

	ბრძოლის შესახებ“, (ახალი კანონპროექტი) **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	პროექტის თანახმად, სასამართლოს ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება, სსკ-ის 137-ე-141-ე მუხლებისთვის მსჯავრდებულ პირს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოართვას კანონით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებები. მსჯავრდებულს განესაზღვრება გარკვეული ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც ხელს შეუწყობს პოლიციას პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში. პროექტის მიხედვით, დაწესებული შეზღუდვების აღსრულებაზე ძირითადი მაკონტროლებელი ორგანო იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. თუმცა, კანონი შესაბამის უწყებებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, აკისრებს კონტროლის მოვალეობას. შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნება ერთიანი ელექტრონული ბაზა - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე მსჯავრდებულთა რეესტრი, რომელშიც დაცული იქნება სსკ-ის 137-ე - 141-ე მუხლებით მსჯავრდებული პირთა პერსონალური მონაცემები. --- **„სისხლის სამართლის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“** პროექტის შემუშავება განპირობებულია სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრების აუცილებლობით. მკაცრდება პასუხისმგებლობა სქესობრივ დანაშაულებზე. --- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა**	--- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. --- კანონპროექტის მიღება არ	

		კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტის შემუშავება განპირობებულია სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრების აუცილებლობით. პროექტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იქნება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სფეროებში მომუშავე დაწესებულებების სქესობრივი დანაშაულების პრევენციის მიზნით კანონით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.	გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
89.	**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	პროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ეფექტიანი იმპლემენტაციის აუცილებლობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის - ერთობლივი ოპერაციების ცენტრის შექმნა და ე. წ. „ჭკვიანი კამერების“ განთავსება ქვეყნის მასშტაბით. სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირების მიზნით მიზანშეწონილია ერთობლივი ოპერაციების ცენტრის შსს სსიპ „112“-თან შერწყმა. აღნიშნული ერთობლივი ოპერაციების ცენტრს მიანიჭებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციას, რაც შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს მომსახურებები და მიიღოს საკუთარი შემოსულობები. პროექტის თანახმად, განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის - ერთობლივი ოპერაციების ცენტრის შსს სსიპ „112“-თან შერწყმა.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

90.	**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	კანონპროექტის შემუშავება განაპირობა დავის უკანონოდ გადაწყვეტის მიზნით შეკრებების (ე.წ. „ქუჩური გარჩევების“) ორგანიზების და მასში მონაწილეობის სიხშირემ, რაც პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი მეთოდების შემუშავებას მოითხოვს. ცვლილება მიზნად ისახავს დავების უკანონო გადაწყვეტის კრიმინალიზაციას. ქმედების სისხლის სამართლის წესით დასჯის პირობებში, შესაძლებელი გახდება დაზარალებულთა დაცვა და იმ მძიმე შედეგების პრევენცია, რომლებიც დასახელებულ ქმედებებს შეიძლება მოჰყვეს.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
91.	**„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს**	კანონში ცვლილება მიზნად ისახავს 2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივის (შემდგომში - დირექტივა) იმპლემენტაციას, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებების არსებული კატეგორიების დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანას, მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისთვის მეორე ეტაპის (რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში) დამატებას. ---------- **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია, ერთი მხრივ, ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით (მართვის მოწმობის მისაღების პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის დამატების ნაწილში), ხოლო, მეორე მხრივ, სსიპ საქართველოს	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ---------- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	პროექტის შემუშავებას განაპირობებს საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI თავით გათვალისწინებული საქართველოს ვალდებულება, რაც გულისხმობს ევროპის კავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივის (Directive 2006/126/EC of the European Parliament and of the Council of 20 December 2006 on driving licences) მე-4, მე-5, მე-6 მე-7 მუხლებით და დანართი II და დანართი III გათვალისწინებულ მოთხოვნებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას.

	კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საქმიანობაში სიახლეების დანერგვის, მომხმარებლებზე ორიენტირებული მომსახურების ახალი სახეების ამოქმედებისა და არსებული სერვისების დახვეწის აუცილებლობით. ცვლილების თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდას ემატება მეორე ეტაპი (რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში). შესაბამისად, დადგინდება აღნიშნული ეტაპის საფასური, ასევე ცვლილება შეეხება თეორიული გამოცდის შედეგების მოქმედების ვადასაც და იგი 1 თვიდან გაიზრდება 1 წლამდე. ცვლილებების შედეგად ასევე დაიხვეწება სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მთელი რიგი მომსახურებები, დაემატება დაჩქარებული მომსახურებები და მომსახურების ახალი სახეები, მათ შორის, მომსახურების დისტანციური არხები.		
92.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	პროექტის შემუშავება განპირობებულია საგზაო მოძრაობის სფეროში პრაქტიკაში გამოვლენილი ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობით. საგზაო უსაფრთხოების სფეროში პასუხისმგებლობა მკაცრდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მთელ რიგ მუხლებზე და ხდება დასჯადი ქმედებების გაფართოება. მათ შორის, ცვლილებები ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამკაცრებას სიმთვრალის მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისთვის, ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაჭარბებული სიჩქარით მართვისთვის,	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე პროექტით გათვალისწინებული ჯარიმების შესაბამისად.	

		საგზაო მოძრაობის წესების დაუცველობისთვის, საგზაო-სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვებისთვის, სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისთვის. პროექტით განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების ჩაბარების ახალი წესი. ---------- **„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ფოტოფირზე ან/და ვიდეოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 1 და 1^1 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე (სიჩქარის გადაჭარბება) გავრცელდება მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის შემცირების წესი. ცვლილებით განისაზღვრება მართვის მოწმობაზე მინიჭებულ ქულათა რაოდენობის ამოწურვის შემთხვევაში, მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების ამოქმედების ვადა.	---------- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
93.	**„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების**	პროექტის შემუშავების მიზეზია ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის საჭიროება. პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი მიუთითებს, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემა უნდა დაუკავშირდეს ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების სისტემას. კანონის ჩანაწერი ცალკეულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების შემთხვევაში	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

	შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	შემაკავებელი ორდერი გამოცემის სავალდებულოობის შესახებ ხელს უშლის პოლიციის ეფექტიან ოპერირებას. კანონპროექტის თანახმად, ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის რეციდივის თავიდან აცილების მიზნით, მოძალადეს შემაკავებელ ორდერთან ერთად შესაძლოა დაუწესდეს სპეციალური, ელექტრონული სამაჯურის ტარების ვალდებულება. შემაკავებელი ორდერის გამოცემა სრულად დაუკავშირდება ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების სისტემას.		
94.	**„კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზირების და კონტროლის განხორციელების საკითხთან დაკავშირებით ცვლილებების განხორციელების აუცილებლობით, რაც მდგომარეობს ლიცენზიის გამცემი და მაკონტროლებელი ორგანოს ახლებურად განსაზღვრაში. აღნიშნული საკითხების ხელახალი მოწესრიგების საჭიროება გამოიწვია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილების მიღებამ, რითაც არაკონსტიუციურად იქნა ცნობილი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გულისხმობს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ერთდროულად ორი ფუნქციის, როგორც დაცვითი საქმიანობის განხორციელების, ისე	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლის ფუნქციის, შეთავსებას. ცვლილებების მიხედვით, კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაცვლად გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობი სფეროში შემავალი ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.		
95.	**„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	დღეის მდგომარეობით სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის სხვადასხვა წყაროდან (მაგ.: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან) ხდება ცნობილი, რომ მართვის უფლების ან/და იარაღის შეძენის/შენახვის/ტარების მქონე პირის ფსიქიკური ავადმყოფობის შესახებ. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას, როგორც მართვის უფლების, ასევე იარაღის ნებართვის ქონისთვის. შესაბამისად, სსიპ შსს მომსახურების სააგენტო იწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას ფაქტის შესწავლის მიზნით, თუმცა, ფსიქიატრიული დაწესებულებები არ გასცემენ პაციენტების შესახებ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია სააგენტოს მიენიჭოს ზემოაღნიშნული პირების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის უფლება. ცვლილების მიზანია სააგენტოს მიეცეს უფლება ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია იმ მართვის უფლების ან/და იარაღის შეძენა/შენახვა/ტარების უფლების მქონე პირების შესახებ, რომელთა ფსიქიკური დაავადების შესახებაც სააგენტოსთვის სხვადასხვა წყაროებიდან ხდება ცნობილი.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

96.	**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად განსაზღვრულია 14 წელი. იმის გათვალისწინებით, რომ 14 წლამდე მოზარდებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ვრცელ-დება, უკანასკნელ ხანებში 14 წლამდე ასაკის ბავშვებთან ერთად /მათი მეშვეობით ჩადენილი დანაშაულები საგ-რძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კოდექსში იმგვარი ცვლილების განხორციელება, რომელიც შეამცირებს აღნიშნულ შემთხვევებს. კანონპროექტის მიზანია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ დანაშაულებს დამამძიმებელ გარემოებად დაემატოს დანაშულის ჩადენა 14 წელს მიუღწეველ პირთან ერთად ან მისი მეშვეობით.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
97.	**„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	პროექტის შემუშავება განპირობებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცალკეული ნორმების დახვეწის აუცილებლობით, რაც პრაქტიკაში დაბრკოლებას ქმნის ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისას და რიგ შემთხვევაში აზიანებს თავად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. მაგალითად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი. შესაძლოა, აღნიშნული ჩანაწერი განიმარტოს იმგვარად, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის მონაწილე არის არასრულწლოვანი, შესაბამისი რეაგირება უნდა	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		განხორციელოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა პოლიციელმა. აღნიშნული ჩანაწერი პოლიციელს უქმნის დამატებით ბარიერებს იმოქმედოს ოპერატიულად და დროულად მიიღოს გადაწყვეტილებები მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. პროექტი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცალკეული ნორმების დახვეწას, რათა დაცული იქნეს ბალანსი, ერთი მხრივ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვასა და, მეორე მხრივ, საქმეზე სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას შორის. გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვები (მაგალითად, ღამის საათებში არასრულწლოვნის გამოკითხვის ცალსახა აკრძალვა), რიგ შემთხვევებში აზიანებს როგორც დაზარალებული/მოწმე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს - გაჭიანურების გარეშე იქნეს მასთან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება, ასევე გამოძიების ინტერესს - თავიდან იქნეს აცილებული მტკიცებულებების განადგურება/გადამალვა. კანონში დაზუსტდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილში წარმოდგენილი ჩანაწერი და მიეთითება, რომ არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოქმედებებს ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი. პოლიციელს სპეციალიზაცია უნდა ჰქონდეს არა პრევენციული ფუნქციების შესრულების დროს, არამედ მაშინ, როდესაც იგი სამართალდარღვევაზე ახდენს		

		რეაგირებას.		
98.	**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საქმიანობაში სიახლეების დანერგვის, მომხმარებლებზე ორიენტირებული მომსახურების ახალი სახეების ამოქმედებისა და არსებული სერვისების დახვეწის აუცილებლობით. ცვლილებების შედეგად დაიხვეწება სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მთელი რიგი მომსახურებები, დაემატება მომსახურების ახალი სახეები.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
99.	**„სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, და „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება განპირობებულია არსებული ტერმინების თანამედროვე სამართლებრივ რეალობასთან შესაბამისობის აუცილებლობით; საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში „NATO“-ს შენაერთების არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების შემოსვლის წესს გამარტივების საჭიროებით. საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, ამოღებული იქნება ტერმინი - „სასაზღვრო ჯარები“ და მის ნაცვლად განისაზღვრება ტერმინი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო. ასევე, დაიხვეწება უცხო სახელმწიფოს გემების	საკანონმდებლო პაკეტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში შემოსვლის რეგულაციები. საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების შემოსვლის წესს დაემატება საგამონაკლისო ნორმა, რომლის მიხედვით „NATO“-ს შენაერთებზე შემოსვლის წესი გამარტივდება, კერძოდ, შემოვა ერთწლიანი ნებართვის ცნება (ე.წ. Diplomatic Clearance). აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად გაიწერება კანონქვემდებარე აქტით „NATO“-ს შენაერთებზე ერთწლიანი ნებართვის გაცემის წესი და შემდგომი პროცედურები.		
100.	**„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	პროექტის შემუშავება განპირობებულია აღსრულების ეროვნულ ბიუროში სისხლის სამართლის საქმეებზე გარკვეული პერიოდის ჯარიმის გადახდის შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის არარსებობით. პროექტი ითვალისწინებს რეგულაციების დადგენას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ჯარიმებთან დაკავშირებით, რომელთა გადახდის შესახებ აღსრულების ეროვნულ ბიუროში შესაბამისი მონაცემები არ მოიპოვება.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
101.	**„ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს**	კანონპროექტის მიღება განპირობებულია ფარული თანამშრომლის მარეგულირებელი ნორმების რეგლამენტაციის აუცილებლობით. დანაშაულთან ღია მეთოდებით ბრძოლა ხშირად შესამჩნევი ხდება დამნაშავეთა სამყაროსთვის, ამიტომ რიგ შემთხვევებში ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოსაპოვებლად უფრო ეფექტიანია ფარული ღონისძიებების განხორციელება. მოცემული ინსტიტუტი საგამოძიებო ტექნიკის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	იქნება. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის თანახამად: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ემატება ახალი სახის ღონისძიება – „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფარული თანამშრომლის განთავსება მხოლოდ სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. ფარული თანამშრომელი მოქმედებს წინასწარ შემუშავებული ლეგენდით. ფარული თანამშრომლის საქმიანობას ხელმძღვანელობს უფლებამოსილი პირი – კოორდინატორი. კოორდინატორი ფარულ გამომძიებელს უწევს დეტალურ ინსტრუქტაჟს მისი მოვალეობების შესრულების მიზნით. ---------- **„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** დარეგულირდება ფარული თანამშრომლის სისხლის სამართლის პროცესში გამოკითხვის/დაკითხვის წესი და მისი უსაფრთხოების დაცვის გარანტიები. ფარულ თანამშრომელს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ინდივიდუალური შეთანხმების ან ნაცვალგების პირობების თანახმად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ გამოგზავნილი შუამდგომლობის საფუძველზე მიენიჭება უფლებამოსილება, ოპერატიულ-სამძებრო	---------- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		ღონისძიებებთან ერთად განახორციელოს ფარული საგამოძიებო მოქმედებებიც. ---------- **„სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ფარული თანამშრომლის ინსტიტუტის, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების, რეგლამენტირებას. აღნიშნული მექანიზმის დანერგვის მიზნით აუცილებელია მოცემული კანონის ამ ახალ ინსტიტუტთან შესაბამისობაში მოყვანა. „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად ყოველ ქვეყანასთან კონკრეტული მიზნით იდება ინდივიდუალური შეთანხმება, რომელშიც განისაზღვრება ფარული თანამშრომლის განთავსების პირობები, ხარჯი, უფლებები და მოვალეობები, მისი სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან/და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, აგრეთვე მის განთავსებასთან დაკავშირებული სხვა დეტალები. ---------- **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** კანონპროექტის მიღება განპირობებულია ფარული თანამშრომლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან	---------- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ---------- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		გათავისუფლების აუცილებლობით, თუ დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილ ფარგლებში. კანონპროექტის არსი მდგომარეობს სისხლის სამართლის კოდექსში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ახალი საფუძვლის რეგლამენტირებაში. პროექტის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ იგი მოქმედებდა როგორც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფარული თანამშრომელი, ამავე კანონით განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის ფარგლების შესაბამისად.		
102.	**„სპორტულ და კულტურულ ღონისძიებათა უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს** (ახალი კანონპროექტი) **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	პროექტის შემუშავება განპირობებულია სპორტულ შეჯიბრებებზე, კულტურულ ღონისძიებებზე უსაფრთხოების ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობით. აღნიშნულ პროექტზე მუშაობისას გაანალიზებული იქნა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, რის საფუძველზეც განხორციელდება წარმოდგენილი რეგულაციების შემუშავება. პროექტის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელნი იქნებიან სპორტული და კულტურული ღონისძიებების მომზადებისა და მართვის პროცესში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე. პროექტის თანახმად, იქმნება ახალი რეგულაციები,	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		რომელიც ხელს შეუწყობს მასობრივი ხასიათის სპორტული და კულტურული ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანად დაცვას.		
103.	**„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	ცვლილების მიზეზია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის ხარვეზების დახვეწა და კანონის სრულყოფა. მნიშვნელოვანია პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა ადეკვატურად პასუხობდეს იმ გამოწვევებს და თანამედროვე ტენდენციებს, რაც დღეს უსაფრთხოების სფეროში იკვეთება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ორგანოს - პოლიციას ჰქონდეს იმგვარი ეფექტიანი ინსტრუმენტები, რომელიც შესაძლებელს გახდის სახელმწიფოს მხრიდან დაცული იყოს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები - განაპირობებს ეფექტიანი საპოლიციო სისტემის არსებობის აუცილებლობას; ცვლილების ერთ-ერთი მიზეზია ასევე ცალკეულ შემთხვევებში კომერციული ან სხვა საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის შენობების გარე პერიმეტრზე ფოტო- და ვიდეოტექნიკის დამონტაჟებისა და ფუნქციონირების ერთიანი წესების განსაზღვრა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია, განახორციელოს თანმიმდევრული და ეფექტური პოლიტიკა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მიმართ, რომლის განხორციელებაც საკანონმდებლო ცვლილებების გზით არის შესაძლებელი. პროექტით ხდება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

		კანონში არსებული ხარვეზების დახვეწა, ასევე საზღვარგარეთის პრაქტიკის გათვალისწინებით ყველა იმ საპოლიციო ღონისძიების გაწერა, რომელიც აუცილებელია პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად; პროექტის მიხედვით განისაზღვრება შენობების გარე პერიმეტრზე ფოტო- და ვიდეოტექნიკის დამონტაჟების ერთიანი წესი; პროექტის მიხედვით მარტივდება მიუსაფარი და ქუჩაში მცხოვრები ბავშვების თავშესაფარში გადაყვანის პროცედურა.		
104.	**„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებსა და გამოწვევებს. კანონი საჭიროებს გადამუშავებას, ახლიდან ჩამოყალიბებას, საერთაშორისო პრაქტიკის ასახვას და მის ჰარმონიაზაციას არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან. ასევე საჭიროა კანონში აისახოს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც თანამედროვე სამართალდამცავი ორგანოს ქმედითი ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი. პროექტით ხდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თავიდან ჩამოყალიბება, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, ნორმების ჰარმონიზაცია არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან, ასევე, კანონის ნორმების იმგვარი ჩამოყალიბება, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს იმ გამოწვევებს და თანამედროვე ტენდენციებს, რაც დღეს უსაფრთხოების სფეროში იკვეთება.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
105.	**„საქართველოს**	პროექტის შემუშავება განპირობებულია სისხლის	კანონპროექტის მიღება არ	

	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	სამართლის საპროცესო კოდექსში გამომძიებლისა და პროკურორის უფლებამოსილებებს შორის მკაფიო ზღვარის არარსებობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდება გამოძიების პროცესში გამომძიებელსა და პროკურორს შორის ფუნქციების იმგვარად გადანაწილება, რომ გამოძიების კონკრეტული ეტაპების მიხედვით, განისაზღვროს თითოეულის პასუხისმგებლობის ხარისხი, აღმოიფხვრას ერთი სუბიექტის ხელში თვისობრივად განსხვავებული ფუნქციების თავმოყრით გამოწვეული ინტერესთა კონფლიქტი და უზრუნველყოფილი იქნეს როგორც საგამოძიებო, ისე საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობა. პროექტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე პროკურორისა და გამომძიებლის კომპეტენციების მკაფიო გამიჯვნას. გამოძიების დაწყებისას და სხვა მნიშვნელოვანი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას გამომძიებლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას და პროკურორის, როგორც საპროცესო ზედამხედველის და არა ხელმძღვანელის აქტიურ ჩართულობას პროცესში დევნის დაწყების ეტაპიდან.	გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	
106.	**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“** **(ახალი კანონპროექტი)** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან**	ახალი სამართალდარღვევათა კოდექსის მიღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოქმედი სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც 1984 წელს არის მიღებული და ვერ პასუხობს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსით და ცვლილებათა პაკეტით მკაფიო რეგულაციები შემუშავდება იმ მუხლებთან	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.	

	ერთად)	დაკავშირებით, რომელთათვისაც მოქმედი კოდექსი სახდელის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობას. ასევე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირისთვის გაიწერება ადეკვატური პროცესუალური გარანტიები.		

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და სხვა უწყებები

107.	**„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტის მიზანია საქართველოში მიმდინარე კანონშემოქმედებით პროცესში რეგულირების ზეგავლენის შეფასების სისტემის დანერგვის შესახებ საკანონმდებლო დონეზე განაცხადის გაკეთება. რეგულირების ზეგავლენის შეფასების სისტემამ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე საკითხის კომპლექსურად შესწავლა, ხელი შეუწყოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული, სწორი არჩევანის გაკეთებას და არსებულ პრობლემათა გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი გზების მოძიებას. ამ მიზნით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში უნდა შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს ის ინსიტიტუციური ჩარჩო, რომელმაც რეგულირების ზეგავლენის შეფასება კანონშემოქმედებითი პროცესის სავალდებულო ელემენტად უნდა აქციოს.	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	
108.	**„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონის პროექტი შეეხება დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის სრულყოფის მიზნით განსახორციელებელ ცვლილებებს და არაარსებითი დარღვევის ჩამონათვალის გაფართოებას.	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	
109.	**„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონის პროექტი შეეხება საკონკურსო პროცედურებთან დაკავშირებული ვადების ცვლილებებასა და საკონკურსო პროცედურების დახვეწას, ასევე საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და შერწყმის პროცესის პროცედურულ სრულყოფას და შიდა მობილობის ინსტრუმენტის კონკრეტიზაციას.	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	

110.	**„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“**	საკანონმდებლო პაკეტის მიზანია: დაადგინოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი, მზღვეველის, სადაზღვევო შუამავლების ვალდებულებების ჩარჩო და სამსახურის კომპეტენციის ფარგლები. კანონპროექტით მოხდება ფინანსურ სექტორში, კერძოდ კი დაზღვევის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, მისი დაახლოება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებით დადგენილ სტანდარტებთან, ასევე მზღვეველის საბაზრო ქცევისადმი ვალდებულებებისა და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციის ფარგლების დაზუსტება. ზემოაღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო სფეროს განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მომხმარებელთა რწმენისა და ნდობის ფაქტორზე. მომხმარებელთა უფლებების ეფექტური დაცვა, დადებითად აისახება არა მხოლოდ თავად მომხმარებელზე, არამედ სადაზღვევო სერვისების გაუმჯობესებაზე, გრძელვადიანი და უფრო სტაბილური ბიზნეს პროცესების დაგეგმვასა და ჯანსაღი კონკურენციის შექმნაზე, მხარეთა შორის დავების შემცირებასა და სხვ.	კანონპროექტების მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	
111.	**„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით საქართველომ იკისრა ვალდებულება, შექმნას დამოუკიდებელი დავების განმხილველი ორგანო, რომელიც გადაწყვეტს სახელმწიფო შესყიდვებიდან გამომდინარე დავებს. ამ მხრივ დღეს არსებული მოდელი, ევროპელი პარტნიორების შეფასებით არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, რადგან დავების განხილვის საბჭო არ არის ინსტიტუციურად დამოუკიდებელი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან, მისი წევრები არ ინიშნებიან განსაზღვრული ვადით, არ იღებენ ანაზღაურებას და, ამასთან, საბჭოში არ საჩივრდება შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება/ქმედება. კანონპროექტის თანახმად, საბჭო ჩამოყალიბდება ინსტიტუციურად დამოუკიდებელ დავების განმხილველ ორგანოდ, რომლის წევრებიც კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნებიან საქართველოს	კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	კანონპროექტი გამომდინარეობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან.

		პრემიერ-მინისტრის მიერ; დაუშვებელი იქნება საბჭოს წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლება ვადაზე ადრე. საბჭოს წევრთა საქმიანობა ანაზღაურებადი გახდება (განისაზღვრება არანაკლებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის ხელფასით) და წევრობა შეუთავსებელი იქნება სხვა თანამდებობასთან/საქმიანობასთან; საბჭოში გასაჩივრდება შესყიდვასთან ყველა გადაწყვეტილება/ქმედება; საბჭოს საქმიანობის უზრუნველსაყოფად შეიქმნება აპარატი, რომელიც იქნება სსიპ – კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურული ერთეული.		
112.	**„დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** **(თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)**	კანონპროექტი მიზნად ისახავს „დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი დებულებების დაზუსტებას და პრაქტიკაში წარმოშობილი ხარვეზების აღმოფხვრას.	კანონპროექტების მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	
113.	**„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	კანონპროექტი მიზნად ისახავს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ რიგი დებულებების დაზუსტებას და პრაქტიკაში წარმოშობილი ხარვეზების აღმოფხვრას.	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	
114.	**„საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო**	კანონპროექტი მიზნად ისახავს „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი დებულებების დაზუსტებას და პრაქტიკაში წარმოშობილი ხარვეზების აღმოფხვრას.	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული	

	პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“		დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	
115.	**„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	კანონპროექტი მიზნად ისახავს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი დებულებების დაზუსტებას და პრაქტიკაში წარმოშობილი ხარვეზების აღმოფხვრას.	კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ რესურსებთან.	